ეკონომიკური პროფილი



ქუთისის უნივერსიტეტი

UDC 33 სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი
ე – 491

№17, 2017 წელი
დეკემბერი

რეფერირება: Институт Научной Информации по Общественным Наукам
(Российская Академия Наук) - www.rim.inion.ru

ნომერში

ფინანსები და საბანკო საქმე

აგრარული სექტორის ეკონომიკა

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა და ტურიზმი

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი:
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის (სემა) ნამდვილი წევრი, პროფესორი
რევაზ კაკულია
პასუხისმგებელი რედაქტორი:
ე.მ.დ., სემას-ს ნამდვილი წევრი
პროფესორი **ნიკო ჩიხლაძე**

სარედაქციო კოლეგიის წევრები:
აკად. **ავთანდილ სილაგაძე**

პროფესორები:
ევგენი ბარათაშვილი
რევაზ ბასარია
რევაზ მანველიძე
ელგუჯა მექვაბიშვილი
გედევან ხელაია
გიორგი ღავთაძე
აკადემიური დოქტორები, ასოცირებული
პროფესორები:
აკაკი ბაკურაძე
ლელა ბახტაძე
ვაჟა გურაბანიძე
ნაირა ვირსალაძე
გურამ უფლისაშვილი
ხათუნა შალამბერიძე
გოდერძი შანიძე

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები,
პროფესორები:
ტიმო ლინკოლა (ფინეთი)
პეტრე მაშეგოვი (რუსეთი)
სერგეი ლუკინი (ბელორუსი)
მარია ტურიანსკაია (უკრაინა)

დამფუძნებელი:
ქუთაისის უნივერსიტეტი
www.unik.edu.ge

4601, საქართველო, ქუთაისი
წერეთლის ქუჩა №13
ტელ: 0 431 24 23 73, 25 12 73
info@unik.edu.ge, chixi@mail.ru
www. economicprofile.org

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტამბაში

შინაარსი

ლაშა ბერიძე
საბანკო კონკურენციის განსაზღვრის თავისებურებები.....3

ნაზი ბარათაშვილი
საგადასახადო სისტემის როლი რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში.....8

მირზა ხიდაშელი
საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ზოგიერთი კრიტიკული ასპექტი.....16

იოსებ არჩვაძე
აგრარული სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამდროვე საქართველოს ეკონომიკაში.....21

ელგუჯა დეისაძე
კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმების განვითარების ისტორიული გამოცდილება.....32

ნაირა ვირსალაძე
ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები („ოკრიბის“ მაგალითზე).....39

ციცინო დავითულიანი
იმერეთის დაცული ტერიტორიები და მათი როლი რეგიონის ტურიზმის განვითარებაში.....44

დარეჯან ჩხიროძე, მანანა ბანძელაძე
ეკოლოგიურ და ზნეობრივი განათლების როლი საზოგადოების მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.....49

ლაშა ბერიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი

საბანკო კონკურენციის განსაზღვრის თავისებურებები

კონკურენცია დამახასიათებელია ეკონომიკის ყველა სექტორისათვის, მათ შორის საბანკო სექტორისათვისაც. საბანკო საქმიანობის სფეროში კონკურენცია გამოირჩევა სპეციფიკით. საბანკო მომსახურება განსხვავდება სხვა სახის მომსახურებისაგან იმით, რომ ბანკები შესაბამის ბაზარზე ჩნდებიან ბაზრის მოთხოვნის ღრმა ანალიზის შედეგად, როდესაც ისინი კარგად არიან მომზადებულნი და აქვთ შესაბამისი ტექნოლოგიები საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის.

საბანკო საქმიანობა ერთი მხრივ, უნდა შეიცავდეს ეკონომიკურ მიზანს, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოფდეს ბაზრის ფინანსურ მოთხოვნილებებს და ამასთანავე, მას უნდა ჰქონდეს ისეთი პირობები, რომლებიც ხელმისაწვდომს გახდის ბანკის მომსახურებას.

დღეისათვის საბანკო სექტორში კონკურენციის განვითარება და კომერციული ბანკების კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს საკმაოდ მწვავე პრობლემას. საბანკო სექტორში კონკურენციის მნიშვნელობაზე საუბარია მრავალი მკლევარის და მეცნიერის შრომებში. უმრავლესობის აზრით, ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარება დამოკიდებულია საბანკო საქმიანობის ისეთ რეგულირებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ცივილიზებულ კონკურენციას ამ სფეროში. კეთილსინდისიერი კონკურენცია განაპირობებს არა მხოლოდ საბანკო სექტორის განვითარებას, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ამიტომ საბანკო სექტორისათვის ,,კონკურენციის" ცნების განსაზღვრა წარმოადგენს აქტუალურ საკითხს საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

საბანკო სექტორში კონკურენციის არსის განსაზღვრისას მკლევარების აზრი განსხვავდება. კერძოდ, ცალ-ცალკე განიხილება ,,საბანკო კონკურენცია" და ,,ბანკთაშორისი კონკურენცია". ო. ა. კოვალევის თანახმად, აღნიშნული მიდგომების გაიგივება შეუძლებელია, რადგან ბანკთაშორისი კონკურენციის დროს ძირითადი კონკურენტები არიან მხოლოდ ბანკები, მაშინ, როდესაც, საბანკო კონკურენცია მოიაზრებს არა მარტო დამოკიდებულებას ბანკებს შორის, არამედ საბანკო და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს შორისაც (საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საკრედიტო კოოპერატივები, ლომბარდები და სხვა.). ანალოგიურ აზრს იზიარებს ა. ს. სმეტანკინი. ის მიუთითებს, რომ საბანკო კონკურენცია მოიაზრებს ბანკთაშორის კონკურენციას და ასევე დამოკიდებულებას საბანკო და არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებს შორის, ასევე კონკურენციას არასაბანკო ორგანიზაციებს შორის.

ამასთანავე, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საბანკო და ბანკთაშორისი კონკურენციის ცნებებთან დაკავშირებით. მაგალითად, დ. ნ. ცაპლევს შემუშავებული აქვს ბანკთაშორისი კონკურენციის კლასიფიკაცია, სადაც ბანკთაშორისი კონკურენცია დაყოფილია დარგის სუბიექტების ერთგვაროვნების ხარისხის მიხედვით. შესაბამისად, გამიჯნულია კონკურენცია მხოლოდ კომერციულ ბანკებს შორის და დარგთაშორისი კონკურენცია - კომერციულ ბანკებს, არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის. მოცემულ შემთხვევაში ავტორი კონკურენციას არამხოლოდ ბანკებს, არამედ სხვა სუბიექტებს შორის მიაკუთვნებს განსაზღვრულ სახეს - ბანკთაშორის კონკურენციას და ცალკე არ განმარტავს

განსხვავებას ,,საბანკო კონკურენციასა“ და ,,ბანკთაშორის კონკურენციას“ შორის. მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებისა უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, საბანკო კონკურენცია თავის-თავში მოიცავს ბანკთაშორის კონკურენციასაც.

შესაბამისად, საბანკო კონკურენცია შეიძლება განვმარტოთ როგორც - კონკურენცია საბანკო მომსახურების ბაზარზე, რომლის მონაწილეებიც შეიძლება იყოს როგორც ბანკები, ასევე არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებები, ხოლო ბანკთაშორისი კონკურენცია არის კონკურენცია მხოლოდ საბანკო სექტორში.

თანამედროვე ეტაპზე სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ,,ბანკთაშორისი კონკურენციის“ განმარტებას. ო. ა. კოვალევის აზრით, ბანკთაშორისი კონკურენცია - ეს არის ,,მეტოქე კომერციული ბანკების დინამიკური პროცესი, რომლის დროსაც ისინი ცდილობენ დაიმკვიდრონ მყარი ადგილი საბანკო მომსახურების ბაზარზე“. მოცემულ შემთხვევაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს პროცესის დინამიკურობაზე. მსგავსი მოსაზრება აქვთ ა. ა. ხანდრუევსა და ა. ა. ჩუმაჩენკოს. ისინიც შემდეგნაირად განმარტავენ ბანკთაშორის კონკურენციას - საკრედიტო ორგანიზაციების მეტოქეობის დინამიკური პროცესი, როდესაც ისინი მიილტვიან დაიმკვიდრონ მტკიცე ადგილი სესხების, დეპოზიტების და სხვა საბანკო მომსახურების, ასევე ალტერნატიულ ფინანსურ ბაზრებზე.

ა. ნ. სლეზკოს მოსაზრების მიხედვით, ბანკთაშორისი კონკურენცია - ეს არის მეტოქეობა და ბრძოლა ბანკებს შორის, მომგებიანი წყაროებით მოიზიდონ ფულადი რესურსები და სფეროები, სადაც განათავსებენ მას თავისი სტაბილური მდგომარეობის შესანარჩუნებლად საბანკო მომსახურების ბაზარზე, იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნა. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ ბრძოლა მიდის ფულადი რესურსების წყაროების მოზიდვასა და განთავსებაში. დ. ვ. პოლიკარპოვი ბანკთაშორის კონკურენციას განიხილავს როგორც პროცესების რთულ კომპლექსს: ბანკების არათანმიმდევრული მეტოქეობა პოტენციური კლიენტებისა და რესურსებისათვის, ბანკების ურთიერთქმედების შედეგები, ასევე ბანკების ურთიერთქმედების კონტროლის პროცესი და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. მოცემულ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ბანკების კონკურენტული ურთიერთქმედების მიზანზე - სახელმწიფოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ამრიგად, საბანკო კონკურენცია - ეს არის კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მეტოქეობის პროცესი, როდესაც ისინი მიისწრაფვიან უპირატესობის მოპოვებისათვის საკრედიტო და საბანკო მომსახურების ბაზარზე. საბანკო კონკურენციის ცნება საკმაოდ პირობითია, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება კონკურირებდნენ არამარტო ბანკები. ფინანსური სექტორის ამ ბაზარზე შესაძლებელია გამოიყოს სხვადასხვა სახის კონკურენტული ბრძოლა. ძირითად დონეს კი წარმოადგენს კონკურენცია კომერციულ ბანკებს შორის, რომელიც ტრადიციულად იყოფა უნივერსალურ და სპეციალიზირებულად. ადრე კომერციული ბანკების ასეთ სახეობებს შორის ნათელი განსხვავება იყო.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი განსხვავება განისაზღვრება ოპერაციების სახეობით, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში კომერციული ბანკების საქმიანობაზე შეზღუდვები შემოღებულ იქნა 1930-იან წლებში, როგორც რეაქცია მძიმე საბანკო კრიზისებზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზის დროს 1929-33 წწ-ში.

მეორე მხრივ, ბანკების შემოსავლები სხვადასხვა სპეციალიზირებული ოპერაციებიდან იყო იმდენად მაღალი, რომ მათი საქმიანობა ეკონომიკის სხვა სფეროში აღარ იყო საჭირო. შედეგად, ეკონომიკაში ყოველთვის არსებობდა როგორც უნივერსალური, ასევე სპეციალიზირებული ბანკები.

უნივერსალურ ბანკებს ტრადიციულად მოწინავე პოზიციები ეკავათ შვეიცარიაში, გერმანიასა და ავსტრიაში. სპეციალიზირებული ბანკების დომინირება დამახასიათებლია დიდი ბრიტანეთისათვის, საფრანგეთისათვის, აშშ-სათვის, იტალიისა და იაპონიისათვის.

საბანკო კონკურენციის განსაკუთრებულობა მდგომარეობს შემდეგში:

1. საბანკო კონკურენცია გამოირჩევა განვითარების მაღალი დონითა და ინტენსივობით;
2. კომერციული ბანკების კონკურენტებად გამოდიან სხვა კატეგორიის ეკონომიკური აგენტებიც (სალიზინგო, საინვესტიციო კომპანიები, ფონდები, ფოსტა და სხვ.);
3. შიდა დარგობრივი კონკურენცია ატარებს გამორჩეულ ხასიათს, რაც იწვევს საბანკო მომსახურებისა და საქონლის დიფერენციაციას;
4. საბანკო მომსახურება და საქონელი შეიძლება ჩაენაცვლოს ერთმანეთს, მაგრამ მათ არ ჰყავთ კონკურენტუნარიანი ,,შიდა“ (არასაბანკო) შემცვლელები;
5. ფასისიმიერი კონკურენციის შეზღუდვა წინა პლანზე წამოწევს საბანკო მომსახურების მართვის ხარისხის პრობლემას;
6. ინდივიდუალურ კონკურენციასთან ერთად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჯგუფურ კონკურენციას.

ბანკები არიან ერთმანეთის კონკურენტები, როდესაც ისინი საერთო ბაზარზე, თანაბარ პირობებში სთავაზობენ მომხმარებლებს ერთნაირ საბანკო მომსახურებას. ყოველი ბანკის მიზანია მოიზიდოს უფრო მეტი კლიენტი, იმისათვის, რომ მიყიდოს მათ რაც შეიძლება მეტი საბანკო მომსახურება, მეტი სარგებლის მიღების მიზნით.

შესაბამისად, კონკურენციის არსებობა იწვევს საბანკო მომსახურების გაფართოებას, ფასის რეგულირებას მისაღებ დონემდე. ამასთანავე, კონკურენცია ასტიმულირებს ბანკებს გახადონ მათი მომსახურება უფრო ეფექტიანი, რაც მნიშვნელოვანია ბანკების განვითარებისა და სრულყოფისათვის. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონკურენციას აქვს მასტიმულირებელი ფაქტორი, რომელიც აიძულებს კონკურენტებს გააფართოვონ თავისი საბანკო მომსახურების წრე, გაუმჯობესონ საქონლის (მომსახურების) ხარისხი და ოპერატიულად დაარეგულირონ ფასი.

საბანკო კონკურენციაზე ზეგავლენას ახდენს შემდეგი ობიექტური გარემოებები:

- საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ლიბერალიზება;
- საბანკო საქმიანობის უნივერსალიზაცია;
- საკრედიტო ორგანიზაციების რეგიონული სფეროების გაფართოება;
- საბანკო ბაზარზე სხვა საკრედიტო ორგანიზაციების შეღწევა;
- არაფასისმიერი კონკურენციის მნიშვნელობის ამაღლება.

ბანკთაშორისი კონკურენციის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი მოქმედების გეოგრაფიული ასპექტი. სხვადასხვა რეგიონში ერთი და იმავე ბანკს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული კონკურენტული მდგომარეობა - ერთ რეგიონში ის შეიძლება გამოდიოდეს ლიდერად და უწევდეს მეტოქეობას სხვა ბანკს, ხოლო სხვა რეგიონში - გაუწიოს მეტოქეობა სხვა ბანკს, მაგრამ განიცდიდეს მკაცრ კონკურენციას.

შესაბამისად, გეოგრაფიული ფაქტორი მნიშვნელოვანია, რადგან კონკურენციაზე ზეგავლენას ახდენს რეგიონების განსხვავებული განვითარების დონე. კვლევებში აღნიშნულია, რომ ქვეყნის მასშტაბურ და განვითარებულ რეგიონებში გვხდება ძლიერი და დამოუკიდებელი ბანკები, მაშინ როდესაც ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში მოსახლეობა განიცდის საბანკო მომსახურების ნაკლებობას. გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ბანკთაშორისი კონკურენციის რეგულირების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება ბაზრის არამხოლოდ სახელმწიფო, არამედ კონკრეტული რეგიონების განვითარებისათვის.

გეოგრაფიული ასპექტის განხილვისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბანკთაშორისი კონკურენცია გამოირჩევა უფრო ფართო გეოგრაფიული საზღვრებით, ვიდრე კონკურენცია

სასაქონლო ბაზრებზე. ელექტრონული ფული შეიძლება ,,გადაადგილდეს“ წამიერად მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, მაშინ როდესაც სასაქონლო ბაზრებისათვის არსებობს გარკვეული ეკონომიკური ბარიერები.

ფართო გავრცელების მიუხედავად ბანკთაშორისი კონკურენცია გამოირჩევა იმით, რომ საბანკო საქმიანობის სფერო არის საკმაოდ ვიწრო, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს კომერციული ბანკებისათვის საქმიანობის აკრძალული სახეები, მაგალითად, სადაზღვევო, საქონლის წარმოების, სავაჭრო და სხვა საქმიანობა. ამიტომ, ხშირად ბანკებს შორის კონკურენცია

ნახაზი 1.

ბანკთაშორისი კონკურენციის თავისებურებები

ბანკთაშორისი კონკურენციის თავისებურებები	დახასიათება
ძირითადად ხორციელდება კომერციულ ბანკებს შორის	მთავარ სუბიექტებად - ფულადი საშუალებების მოძრაობის ორგანიზატორებად გვევლინებიან კომერციული ბანკები, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა ერთმანეთს შორისა, ისინი კონკურენციას უწევენ სხვა არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებსაც.
მიმდინარეობს სპეციფიკური საქონლის - ფულადი რესურსების ბაზარზე	ბანკები ძირითადად ოპერირებენ მოზიდული სახსრებით, ამასთანავე, ბანკების საკუთარი საშუალებების მოცულობა მნიშვნელოვნად მცირეა მოზიდული სახსრების მოცულობასთან.
ბანკთაშორისი კონკურენციის გეოგრაფიული ასპექტი	სხვადასხვა რეგიონებში კონკურენცია მიმდინარეობს გასხვავებულ ბანკებს შორის, ამასთანავე რეგიონებში ერთმანეთს შორის პაექრობენ არა სათავო ოფისები, არამედ მათი საქვეუწყებო დაწესებულებები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან განსაზღვრულ ოპერაციაზე ან მომსახურებაზე. ამასთანავე, გასათვალისწიბელია რეგიონის განვითარების დონე.
ეკონომიკისა და პოლიტიკის კავშირი	-სახელმწიფოს ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკაზე და საბანკო სისტემაზე, შეიძლება გამოიხატოს ,,ბარიერების“ დაწესებაში, ახალი საკრედიტო ორგანიზაციების შექმნისას; -ასევე დიდია პოლიტიკური სიტუაციის გავლენა საბანკო სისტემაზე
კონკურენცია მიმდინარეობს მომსახურების ვიწრო სფეროში	კომერციული ბანკების მომსახურების სპექტრი საკმაოდ ვიწროა, რადგან ისინი შეზღუდულნი არიან სხვა სახის საქმიანობით, გარდა საბანკოსი. აღნიშნული კი აიძულებს ბანკებს დასპეციალიზდნენ განსაზღვრულ მომსახურებაზე

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

მიმდინარეობს საკმაოდ ვიწრო სფეროში, რაც განპირობებულია ბანკების სპეციალიზაციით კონკრეტულ მომსახურებებზე. ასეთ პირობებში, როდესაც ბანკები იძულებულნი არიან განახორციელონ პრაქტიკულად ერთგვაროვანი ოპერაციები, მნიშვნელოვანია კონკურენციის რეგულირების ეფექტიანი სისტემის შექმნა.

ამასთანავე, ბანკთაშორისი კონკურენციის განსაკუთრებულობა მდგომარეობს მის

სპეციფიკურობაში, კერძოდ, ბანკები იძულებულნი არიან კონკურენცია გაუწიონ არამხოლოდ ერთმანეთს, არამედ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებსაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბანკთაშორისი რეგულირების სისტემის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ძირითადად მიმართული უნდა იყოს ბანკებს შორის განსაზღვრული კონკურენციის დონის მიღწევაზე, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ბანკების მიერ კონკურენტულ ურთიერთობებში შესვლა სხვა არასაბანკო ორგანიზაციებთან. გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ ბანკთაშორისი კონკურენცია წარმოადგენს კონკურენციის სპეციფიკურ სახეს, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვა (სასაქონლო) ბაზრებისაგან განსხვავებული თავისებურებები (იხ. ნახაზი 1.)

ამასთან, ბანკთაშორისი კონკურენციის თანამედროვე თავისებურებები მოითხოვს ბანკთაშორისი კონკურენციის რეგულირების სისტემის ფორმირებასა და რეალიზებას.

ბანკთაშორისი კონკურენციის განმარტებების და მისი თავისებურებების გათვალისწინებით, მისი არსის ჩამოყალიბება შესაძლებელია შემდეგნაირად: ბანკთაშორისი კონკურენცია - ეს არის საბანკო ბაზარზე მოქმედ ბანკებს შორის მეტოქეობის დინამიკური პროცესი, რომლის მიზანია ბანკის ხელსაყრელი მდგომარეობის მოპოვება ამ ბაზარზე, და რომელსაც ახასიათებს ბანკის წილის ზრდა - გაყიდვების (მომსახურების) ზრდითა და მათი საქმიანობის მონაცემების ცვლილებებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мнацаканян А.Г. Об основных принципах устойчивого функционирования региональной банковской системы / А.Г. Мнацаканян, С.Г. Саядян, http://www.klgtu.ru/science/magazine/2012_26/mnatsakanyan.pdf

2. Сметанкин А.С. Основные направления развития конкурентной стратегии кредитных организаций / Электронное научное издание «Труды МЭЛИ: электронный журнал». – 2012, http://www.e-magazine.meli.ru/vipusk_3/32_3v_smetankin.doc

3. Цаплев Д.Н. Особенности транзакционного подхода в анализе межбанковской конкуренции // Наука и экономика. – 2012. - №3 (11). – ст. 27- 35.

4. Ковалева О.А. Тенденции развития межбанковской конкуренции на современном этапе // Социально-экономические явления и процессы. - 2013. – №3 (049). – ст. 74-77

5. Хандруев А.А. Конкуренция в банковской отрасли: тенденции, проблемы, прогнозы /А.А. Хандруев, А.А. Чумаченко // Банковское дело. – 2010. – № 11. – ст. 6-12

6. Слезко А.Н. Межбанковская конкуренция: методы оценки и элементы механизма регулирования (На примере Приморского края): Диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук: 08.00.10. – Владивосток. – 2004, ст. 170

7. Поликарпов Д.В. Теоретические аспекты определения понятия «межбанковская конкуренция» // Известия Волг ГТУ. – 2012. –№12 (103). – ст. 87-91.

ნაზი ბარათაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საგადასახადო სისტემის როლი რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში

საბაზრო ურთიერთობების პირობებში საგადასახადო სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგულატორი, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფინანსური და საკრედიტო მექანიზმის საფუძველი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში.

თანამედროვე საგადასახადო სიტემა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეული მაჩვენებელია. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფა და ქვეყნის პოტენციალი საგადასახადო დაგეგმარების მოწინავე ამოცანაა. საგადასახადო სისტემა საშუალებას მისცემს სახელმწიფოს გავლენა მოახდინოს როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ პროცესებზე. მეტ-ნაკლებად დაბალანსებული საგადასახადო სისტემის შესაქმნელად აუცილებელია ამ სისტემის გავლენის მექანიზმის შეფასება როგორც სოციალური, ასევე, ეკონომიკური პროცესების მიმართ. [2]

საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. კერძოდ: ქვეყანაში სახელმწიფოს შემოსავლების გადანაწილება, კონკურენციის დაცვა, ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნა, საბაზრო სისტემის ნეგატიური მხარეების გამოვლენა და აღმოფხვრა და საბოლოოდ მთლიანად, საბაზრო ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა.

სახელმწიფოს მიერ საკუთარი ეკონომიკური ფუნქციების შესრულებისას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ფინანსური რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას, ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებს შორის, რაც მიზნად ისახავს, შეზღუდული რესურსების მაქსიმალურად, რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას.

საგადასახადო მექანიზმების გავლენა კი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. საგადასახადო სისტემაში დიდი ყურადღება ექცევა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, მაგრამ ამავე დროს ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, რომლის მოგვარება ეტაპობრივად შესაძლებელია ეკონომიკის ლიბერალიზაციით და მისი მოდერნიზებით. ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციის პირობებში კი, რეგიონების განვითარებით, ნათელი ხდება, რომ საჭიროა რეგიონული ეკონომიკის გაუმჯობესებისათვის საგადასახადო მექანიზმის გაცნობა. საგადასახადო პოლიტიკასა და ცალკეულ გადასახადებზე, ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებს, რომ ადგილობრივი გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების სისტემაში არსებობს არაერთი გადაუჭრელი პრობლემა. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების გაუმჯობესება უნდა შეიცავდეს ადგილობრივ ბიუჯეტში მათი მიღების მექანიზმს. [8]

საქართველოში მიმდინარე საგადასახადო და თვითმმართველობების რეფორმების გატარების შედეგია ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური განვითარება, რეგიონული პოტენციალის ამაღლება და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება.

საქართველოში თვითმმართველობის რეფორმის გატარების შედეგად თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა 1000-დან 69-მდე შემცირდა და 12 ქალაქიდან 5 თვითმმართველი

ქალაქის და 64 მუნიციპალიტეტის შემადგენლობით ჩამოყალიბდა. თვითმმართველობის რეფორმის მთავარი მიზანი იყო მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაცია, რაც გულისხმობდა არსებული მუნიციპალიტეტების გაერთიანებას. ცვლილება მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტების განვითარების ერთიანი ხედვით, ეფექტიანი მართვის ხელშეწყობას და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების გზით, კაპიტალური ხარჯების მოცულობის გაზრდას, რაც დადებითად აისახებოდა მოსახლეობის სოცილაურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

რეფორმამდე საგადასახადო კოდექსის მიხედვით სულ განსაზღვრული იყო 21 გადასახადის სახე. აქედან: 15 გადასახადის სახე მიეკუთვნებოდა საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს, ხოლო 6 გადასახადის სახე ადგილობრივ გადასახადებს. რეფორმის მეორე ფაზის შემდგომ ადგილობრივი გადასახადების რაოდენობა 2-მდე შემცირდა - ქონების და სათამაშო ბიზნესის გადასახადი. 2007 წელს მოხდა სათამაშო ბიზნესის ტრანსფორმაცია და გახდა ადგილობრივი მოსაკრებლი. ადმინისტრირების წესებით მისი, როგორც გადასახადის შინაარსი არ შეცვლილა. გარდა ამისა, კანონებით „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ და „სახელმწიფო გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ განისაზღვრა სახელმწიფო გადასახადები, რომელთა წილიც მიემართებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში.

სისტემის ნაკლოვანება იმაში გამოიხატებოდა, რომ სუსტი ადმინისტრირების პირობებში ვერ ხერხდებოდა ადგილობრივი გადასახადებიდან მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზაცია. სამწუხაროდ, ყურადღება ექცეოდა მხოლოდ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ადმინისტრირებას (მოგება, დღგ, საშემოსავლო). ამიტომ რთულია ითქვას რამდენად არაეფექტიანი იყო მოქმედი ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები და გამართლებული იყო თუ არა მათი გაუქმება. ზოგიერთი მათგანი სრულად აკმაყოფილებდა ადგილობრივი გადასახადის საჭირო თვისებებს (ადმინისტრირების სიამრტივე, ბაზის არამობილურობა, და ა.შ.) და სათანადო ზომების გატარების შემთხვევაში მნიშვნელოვანი შემოსავლების მობილიზების პოტენციალი გააჩნდათ. მცირე შემოსავლებს განაპირობებდა კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე და ადგილობრივი ხელისუფლების ფისკალური უპასუხისმგებლობა.

საქართველოში ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების სისტემას საფუძველი ჩაეყარა 2000 წელს, როდესაც მიღებული იქნა კანონი „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“. ამ კანონით, 2001 წლიდან 2004 წლის 1 ივლისამდე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები განისაზღვრებოდა 99%-ით, ხოლო საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში- 85 %-ით. [3]

ამავე კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკები ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული საბაჟო გადასახადიდან ანარიცხის გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივი 2001-2004 წლებისათვის განისაზღვრა 50%-ის ოდენობით, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან და აქციზიდან ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივები 2001-2004 წლებისათვის განისაზღვრა 40% მოცულობით, ხოლო საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან კი 30%-ის ოდენობით.

აღნიშნული კანონის ამოქმედებამ ადგილობრივ ბიუჯეტებში საკუთარი შემოსავლების გაზრდა გამოიწვია, თუმცა შესაბამისად შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების მოცულობა.

2004 წლიდან ჩამოყალიბდა ბიუჯეტებს შორის განაწილების ახალი სისტემა საქართველოს კანონი „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ", ამ კანონის თანახმად მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის 100% მიმართული იყო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების განკარგულებაში, ასევე, ადგილობრივ ბიუჯეტში რჩებოდა პრივატიზაციიდან (ქონების გაყიდვიდან) მიღებული შემოსავლების 35%. [4]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგადასახადო კოდექსთან ერთად შეიცვალა გადასახადების ბიუჯეტებს შორისი განაწილების პრინციპი. ორი მნიშვნელოვანი გადანაწილებითი და მასტიმულირებელი გადასახადი - საშემოსავლო და მოგების - წარიმართა ადგილობრივი (ავტონომიური რესპუბლიკების) ბიუჯეტებში დერივაციის პრინციპის მიხედვით. ცენტრალურ დონეზე განისაზღვრა უნიფიცირებული განაკვეთები, რითაც მოხდა თვითმმართველობებს შორის არაჯანსაღი საგადასახადო შეჯიბრის თავიდან აცილება და მაკრო სტაბილურობის ბერკეტი ცენტრალურ ხელისუფლებას დარჩა.

2007 წელს მოქმედი ,,საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" კანონის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის 100% მიმართული იყო ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის. ხოლო, მოგების გადასახადის 100% მიმართული იყო სახელმწიფო ბიუჯეტში - გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი მოგების გადასახადისა. [5]

2008 წლიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ", ამ კანონის თანახმად მოგების გადასახადი 100 %-ით ირიცხებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო საშემოსავლო გადასახადი, განკუთვნილი ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის, 100 %-ით ირიცხებოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში. [6]

2016 წლიდან საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საშემოსავლო გადასახადი, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი საშემოსავლო გადასახადისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტისათვის განკუთვნილი საშემოსავლო გადასახადის გარდა, 100%-ით ირიცხება ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი საშემოსავლო გადასახადი, შესაბამისად 100 %-ით ირიცხება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში. ხოლო, საშემოსავლო გადასახადის ცალკეული სახეები მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსულობად იქცა და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში მთლიანად ირიცხება,

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი საშემოსავლო გადასახადისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტისათვის განკუთვნილი საშემოსავლო გადასახადის შედარებით ანალიზმა გვიჩვენა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებისათვის განკუთვნილია საშემოსავლო გადასახადის ის სახეები, რომლებიც იძლევა ნაკლებ შემოსავალს.

საშემოსავლო გადასახადის ასეთი პროპორცია და პროცენტული განაწილება ადგილობრივი ბიუჯეტისათვის ნაკლებ ეფექტის მომცემია და უმნიშვნელოდ აისახება საკუთარ შემოსავლებზე. ეფექტიანი იქნებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართულიყო საშემოსავლო გადასახადის ის სახე, რომელსაც იხდიან დამქირავებლები, რადგანაც მთლიანად საშემოსავლო გადასახადის

მნიშვნელოვან წილს, სწორედ ეს ნაწილი წარმოადგენს (დაახლოებით 80%-მდე).

ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში ასევე სრულად, 100%-ით ირიცხება მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი და იმპორტის გადასახადებიდან მობილიზებული შემოსავლები.

ანალიზზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ საქართველოში ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხი მეტად სერიოზულ მიდგომას საჭიროებს, რაც უპირველეს ყოვლისა ეხება საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსულობების, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილების საკითხს.

ადგილობრივი გადასახადების სისტემა ეროვნული საგადასახადო სისტემის შემადგენელი ნაწილია. მისი არსებობა პირველ რიგში თვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინტერესებს პასუხობს, ვინაიდან ადგილობრივი გადასახადები ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების სტაბილურ და დამოუკიდებელ წყაროს წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობით მხოლოდ, ქონების გადასახადი არის ერთადერთი ადგილობრივი გადასახადი და მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება. გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. იგი მოიცავს გადასახადებს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე, უძრავ ქონებაზე, არამატერიალურ აქტივებზე და მოძრავ ქონებაზე (ავტომობილები, თვითმფრინავები, იახტები). სხვადასხვა ეტაპზე ქონების გადასახადმა განიცადა ცვლილებები, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც განაკვეთებს ისე საგადასახადო ბაზას არ განუცდია.

მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით ქონების გადასახადს გააჩნია პოტენციალი, რომლის გამოყენებაც აუცილებელია, რადგან თავისი შინაარსით, ქონების გადასახადი ყველაზე სასურველი და ადვილად ადმინისტრირებადი ადგილობრივი გადასახადია. მნიშვნელოვანია ასევე ადგილობრივი მოსაკრებლების და მომსახურების საფასურის სისტემის გაუმჯობესება, საიდანაც მობილიზებული რესურსი ადგილობრივი ხარჯების დაფარვის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს.

ცხრილი 1

საქართველოს ტეროტორიული ერთეულების (მხარეები) ბიუჯეტების შემოსულობები და გადასახადები 2010-2016 წწ

მლნ. ლარი

	2010		2011		2012		2013		2014		2015		2016	
საქართველოს	შემოსულობები	მათ შორის გადასახადები	შემოსულობები	მათ შორის გადასახადები	შემოსულობები	მათ შორის გადასახადები	შემოსულობები	მათ შორის გადასახადები	შემოსულობები	მათ შორის გადასახადები	შემოსულობები	მათ შორის გადასახადები	შემოსულობები	მათ შორის გადასახადები
ქ. თბილისი	745,7	93,7	712,7	117,2	689,0	118,4	723,5	122,5	691,8	130,9	907,4	158,2	798,7	326,0
აფხაზეთის ა.რ	12,2	4,3	12,7	4,8	12,0	4,4	13,4	4,7	13,2	4,5	13,9	4,7	14,4	5,2
აჭარის ა.რ	100,4	78,1	128,5	106,4	143,9	124,0	168,9	134,5	162,2	143,9	198,1	166,1	220,9	185,4
გურია	19,7	3,4	21,1	3,2	33,2	3,5	46,0	3,0	51,2	3,4	58,4	4,0	63,3	8,1

იმერეთი	177,5	20,2	120,9	15,5	167,8	16,1	163,2	13,1	179,8	16,2	197,8	15,6	205,4	41,9
კახეთი	57,4	8,7	65,0	14,0	83,9	11,7	87,2	14,3	90,7	15,5	102,3	16,8	106,6	26,9
მცხეთა-მთიანეთი	34,5	7,5	32,5	7,0	42,1	9,1	38,8	9,2	45,8	9,5	45,7	9,7	54,0	16,7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	15,3	0,8	13,6	0,7	23,6	0,7	23,7	0,5	24,9	0,8	31,8	0,8	34,4	1,6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	101,7	20,7	121,0	16,4	135,2	18,8	113,0	18,0	121,3	16,3	137,1	17,3	151,5	39,6
სამცხე-ჯავახეთი	30,4	3,9	51,4	7,2	76,8	6,0	51,5	6,9	53,2	6,0	65,0	7,2	84,6	26,5
ქვემო ქართლი	73,8	13,0	105,0	19,3	123,0	25,6	109,6	24,7	106,6	23,7	130,1	31,6	140,4	55,2
შიდა ქართლი	42,9	6,0	52,6	6,4	90,3	5,9	63,5	6,0	79,6	7,3	82,0	6,3	88,5	14,4

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2010-2016 წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიული ერთეულების (მხარეები) ბიუჯეტის შემოსულობები ხასიათდება ზრდის ტენდენციით. შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების შევსების წყაროა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადის გარკვეული სახეები.

საშემოსავლო გადასახადის სახეების, ადგილობრივ ბიუჯეტებში წარმართვას, ერთ-ერთი არგუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ თვითმმართველობის წახალისება, რათა მოიზიდოს ინვესტიციები და ხელი შეუწყოს დასაქმების ზრდას. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მიღებული შემოსავალის ზრდა არ უნდა იწვევდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობის შემცირებას, რაც რეალურად ხშირად ასე ხდება.

ცხრილიდან ასევე იკვეთება უთანაბრობა რეგიონებს შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილებაში. კერძოდ, დედაქალაქზე და საქართველოს ოთხ რეგიონზე (აჭარის არ, სამეგრელო ზემო სვანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი) მოდის მთელი საგადასახადო შემოსავლების 85%, დანარჩენ 7 რეგიონზე კი მხოლოდ 15%.

მონაცემებით ირკვევა, რომ შემოსულობები ჭარბობს განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც განვითარების დონე შედარებით მაღალია. კერძოდ: ქ. თბილისის, აჭარის ა.რ-ის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში. აღნიშნულ რეგიონებში შემოსავლების ზრდა ძირითადად განპირობებულია ეკონომიკური აქტივობებით.

მიზანშეწონილია მეწარმეობის წახალისება პრობლემურ რეგიონებში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მცირე და საშუალო საწარმოების წახალისებას, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა ინოვაციური კონკურენციის საფუძველზე, რითაც ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას და რეგიონების ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იქნება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი ძალზედ მცირეა. იმ რეგიონებში, სადაც დაბეგვრას დაქვემდებარებული მიწის ფართობი დიდია, ქონების გადასახადზე მოდის საგადასახადო შემოსულობების შედარებით მაღალი ხვედრითი წილი. სხვა სახის ქონების გადასახადის გადახადა კერძოდ, საწარმოთა ქონების

და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახდი მეტწილად იმ ქალაქებსა და დაბებზე მოდის, სადაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები. სოფლად, ქონების გადასახადის (მიწის გარდა) დაბალი დონე განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის შემოსავლები ქალაქთან შედარებით დაბალია, როგორც საგადასახადო კოდექსითაა დადგენილი ოჯახი, რომლის საერთო შემოსავალი 40 ათას ლარზე დაბალია განთავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნაკლებ შემოსავლიან მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ოჯახები არ არიან ქონების გადასახადის გადამხდელები. გამომდინარე აქედან, შეიძლება დავსკვნათ, რომ ქონების გადასახადი, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტების ერთერთი ფორმირების წყარო ბიუჯეტის შევსებას უზრუნველყოფს მხოლოდ, მცირე ნაწილით.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრების მიზნით და მათი ექსკლუზიური უფლებამოსილებების განსახორციელებლად, ქვეყნის ხელისუფლება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ახორციელებს ფინანსური დახმარების სახით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათანაბრებითი ტრანსფერის გამოყოფას, რომლის ძირითადი მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მათი ექსკლუზიური უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრების მიღწევა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გათანაბრებითი ტრანსფერის გამოყოფა არ ხდებოდა იმ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის, რომლის ბიუჯეტის შემოსავლებიც აღემატებოდა ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს. ყოველივე ამის შემდეგ კი კოდექსით განსაზღვრული ფორმულის საშუალებით, ხდება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გათანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრა.

ცხრილი 2

საქართველოს ტეროტორიული ერთეულებზე (მხარეები) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის დინამიკა 2010-2016 წწ.

ათასი ლარი

საქართველოს ტერიტორიული ერთეულების დასახელება მხარეების მიხედვით	გათანაბრებითი ტრანსფერები წლების მიხედვით						
	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ქ. თბილისი	323 037.7	349 892.0	418 444.9	447 616.0	397 699.4	412 282.2	242 182.2
აფხაზეთის ა.რ	7 500.0	7 500.0	7 500.0	8 500.0	8 500.0	9.000.0	9 000.0
აჭარის ა.რ	30 701.8	70 259.2	62 685.6	66 084.4	82 195.9	83 185.1	61 315.9
გურია	7 558.5	10 626.9	13 747.4	13 897.1	17 337.8	20 535.1	18 607.5
იმერეთი	46 692.0	60 496.8	70 460.0	73 396.8	87 407.6	93 262.1	76 919.7
კახეთი	20 811.7	22 570.4	28 384.4	28 558.5	34 353.2	40 805.7	36 551.0
მცხეთა-მთიანეთი	7 086.7	8 549.7	6 968.9	6 594.4	9 309.5	10 945.8	10 541.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6 948.1	7 392.3	9 103.6	9 830.1	12 092.1	15 682.5	16 221.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	26 385.5	30 782.0	34 995.0	35 425.9	46 786.4	55 897.2	49 605.2
სამცხე-ჯავახეთი	10 993.6	12 368.2	15 490.5	13 965.7	19 216.9	22 930.2	21 056.8
ქვემო ქართლი	24 852.2	32 102.8	33 255.7	25 893.1	34 076.5	36 437.2	26 106.6
შიდა ქართლი	16 771.5	21 977.0	27 049.9	28 093.5	34 716.7	41 265.5	39 149.3

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

წარმოდგენილი ცხრილით ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებზე გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის დინამიკა წლების მიხედვით ხასიათდება ზრდის ტენდენციით. მიუხედავად ზრდის ტენდენციისა რეგიონებისათვის ნაკლებად არის გათვალისწინებული ტრანსფერის განაწილების სამართლიანობის პრინციპი, რამაც უნდა უზრუნველყოს ცალკეული რეგიონების ფინანსური რესურსების სამართლიანი გადანაწილება. მუნიციპალიტეტების შემოსავლების მაღალი წილი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობაზე არ უნდა მოქმედებდეს უკუპროპორციულად, ანუ რეგიონის საკუთარი შემოსავლების გაზრდა არ უნდა ახდენდეს გათანაბრებითი ტრანსფერის შემცირებას.

თუმცა, უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც დაცული უნდა იყოს ტრანსფერის გაანგარიშებისასარისადგილობრივისაგადასახადობაზისპოტენციალისდათვითმმართველობის მიერ მისი გამოყენების შეფასება. თუკი აღნიშნული პირობა დაცული არ არის, თვითმმართელობებს ეკარგებათ მოტივაცია ხელი შეუწყონ ეკონომიკის განვითარებას და ამოიღონ ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები. ამიტომ, ტრანსფერის ფორმულის გამოყენებისას პოტენციური შემოსავლები უნდა გაიანგარიშებოდეს არა ფაქტიური შესრულების ტრენდით, არამედ არსებული საგადასახადო ბაზის მიხედვით, რომელსაც რეალურად უნდა უზრუნველყო ქვეყნის თვითვმმართველობებში ეკონომიკის ადგილობრივ პოტენციალზე დაფუძნებული ზრდა.

ადგილობრივი ბიუჯეტის რეგულირების ანალიზზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი მექანიზმები კვლავ გამოიყენება, ანუ, გადასახადების ყველაზე საიმედო ტიპები, პირველ რიგში, სახელმწიფო ბიუჯეტს მიმართავენ და ამ შემოსავლების მხოლოდ გარკვეული პროცენტი გადანაწილებულია ადგილობრივ ბიუჯეტებზე.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ გადაისინჯოს საგადასახადო ბაზის გადანაწილება სხვადასხვა რეგიონებში და ასევე, ცენტრალიზებული გადასახადები, რომლებიც მხარს უჭერენ ეკონომიკურ სტაბილურობას. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

რესურსების არათანაბარი განაწილება, მრეწველობის და საბაზრო ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნის რეგიონების განვითარებაზე. რეგიონების ეკონომიკური განვითარების რეგულირებისას ჩვენი აზრით, ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა სახელმწიფო განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1. რეგიონების ეკონომიკის განვითარების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულების თანმიმდევრული ზრდის მიღწევა და საგადასახადო შემოსავლების წილის გაზრდა;
2. ეკონომიკური სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობის გაზრდის ღონისძიებების განხორციელება;
3. ეროვნული ეკონომიკის საექსპორტო პოტენციალის გაფართოების დამატებითი ეკონომიკური პირობების შექმნა;
4. რეგიონებისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
5. ადგილობრივი ბიუჯეტების როლი რეგიონების საინვესტიციო საქმიანობაში.

კარგად გააზრებული საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რადგან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკურ საქმიანობაზე. ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირება, ერთის მხრივ, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდას უნდა მოჰყვეს, მეორე მხრივ - არასახელმწიფო ინვესტიციების მოცულობის გაზრდას, რაც საშუალებას მისცემს რეგიონის წინაშე არსებული სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას. [7]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანალიზი და რეკომენდაციები ეფექტური ფისკალური დეცენტრალიზაციისათვის. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. თბ. 2015 გვ 59

2. კაკულია რევაზ., გაბელაშვილი კ., ფინანსების თეორია. თბ., 2012. 170-180

3. საქართველოს კანონი „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 31.12.2003

4. საქართველოს კანონი „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“., თბ., 29.12.2004. დანართი

5. „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. თბ., 29.12.2006. დანართი 1 N4240

6. საქართველოს კანონი „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ თბ., 28.12.2007წ N5663-რს

7. Осипова Е. С. Роль и значение региональных налогов в экономическом обеспечении регионов 2014 წ.

8. Мейлиев О.Р. Влияние налогов на развитие региональной экономики // Экономика и бизнес: теория и практика. — 2015.

მირზა ხიდაშელი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ზოგიერთი კრიტიკული ასპექტი

„დიდი რეცესია“ სწორედ ასე მოიხსენიებს თანამედროვე მედია 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად განვითარებული ეკონომიკური ზრდის შენელების პროცესს. [1] თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფთა ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს თავსატეხს სწორედ შენელებული ეკონომიკური ზრდის ტემპებთან გამკლავება წარმოადგენს. ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნები საკუთარი ვალუტის დევალვაციით ცდილობენ ეკონომიკის სტიმულირებას.[2] აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა მიმდინარე წლის ბოლოს გეგმავდა მონეტარული სტიმულირების მესამე ეტაპის დასრულებას თუმცა მიუხედავად დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის დადებითი მონაცემებისა პროგრამის დასრულება კვლავ გადაიდო.[3] ევროპის ცენტრალურმა ბანკიც აქტიურად ჩაერთო ამ „მარათონში“ და უკვე რამდენიმე თვეა რაც დაიწყო მონეტარული სტიმულირებისა და ევროს დევალვაციისკენ ნაბიჯების გადადგმა. [4] ქვეყნებმა რომელთაც მსგავსი ინსტრუმენტების გამოყენების „ფუფუნება“ არ გააჩნიათ მკაცრი ეკონომიკური რეფორმებისა და ფისკალური სტიმულირების პოლიტიკით ცდილობენ ეკონომიკა ზრდის აღმავალ ტემპებზე დააბრუნონ და არც თუ უსაფუძვლოდ. 2012 წლის 26 ნოემბერს სან–ფრანცისკოს ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა გამოაქვეყნა საკმაოდ საინტერესო კვლევა. ნაშრომის თანახმად 1990 წლიდან მოყოლებული აშშ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის მიმართულებით გაწეულ დახარჯულ თითოეულ დოლარი 2 დოლარით აისახებოდა მშპ–ის მაჩვენებელში. ცალკე აღნიშნულია, რომ 2009 წელს მოცემულმა მულტიპლიკატორმა „იმუშავა“ მის საშუალო მაჩვენებელზე 4 ჯერ უფრო ეფექტურად. ანუ ბიზნესის ციკლის დაღმავალ ფაზაში ინფრასტრუქტურულმა დანახარჯებმა მშპ–ს ზრდაზე უფრო მეტი გავლენა მოახდინეს ვიდრე ციკლის აღმავალ პერიოდში.[5]

გლობალური ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის, როგორც ფაქტორების გამოჩენამდე, 2006–2008 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 26.04%–ით იზრდებოდა. შედეგად აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკა 5 მლრდ. აშშ დოლარით გაიზარდა და 12.8 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. 2008 წლის მოვლენების შედეგებს შეიძლება დავუკავშიროთ 15,63%–იანი ვარდნა მშპ–ის მაჩვენებელში. აღსანიშნავია, რომ 2006–2014 წლებში ეს იყო ერთადერთი წელი როცა ეკონომიკური ზრდის ტემპმა უარყოფითი მნიშვნელობა მიიღო. (იხ. ნახ. 1.)

თუ 2009 წელს არ მივიღებთ მხედველობაში, ეკონომიკური ზრდის ტემპები საქართველოს ეკონომიკამ 2008 წელს განვითარებული სამხედრო და ეკონომიკური შოკების შემდეგ პერიოდშიც შეინარჩუნა, თუმცა მშპ–ის ზრდის მაჩვენებელი თითქმის განახევრდა და 2010–2012 წლებში საშუალოდ 13,96% შეადგინა. რთულია ცალსახად განისაზღვროს 2008 წლის გლობალურმა კრიზისმა რა წილი დაიდო ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებაში, თუმცა გლობალური

ციკლის ფაზის დაღმასვლამ, განვითარებული ქვეყნებიდან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ჩათვლით მნიშვნელოვნად შეანელა ზრდის არსებული ტემპები, რითაც შეგვიძლია ეკონომიკური ზრდის ტემპების განახევრება ავხსნათ. შესაბამისად დიდ ინტერესს აღძრავს იმ ფაქტორების დადგენა, რომელთაც 2013–2014 წლებში ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებლის (1.87%) დრამატული ცვლილება გამოიწვიეს [მთელი 12 პუნქტით]

ნახახი 1.

მშპ–ს დინამიკა (მლრდ. ლარი) და ზრდის ტემპი 2005–2014წწ



წყარო: www.mof.ge

თუ გავითვალისწინებთ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად მიღებული ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების პროცესი სრულად ჯარ კიდევ არ არის დაძლეული და აშშ–ისა და ევროზონის ცენტრალური ბანკები მონეტარული სტიმულირების პოლიტიკის ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაში, არიან ჩნდება ლოგიკური კითხვა: ხომ არ მომხდარა საქართველოს ფისკალური პოლიტიკის დრამატული ცვლილება 2012 წლის შემდეგ ეკონომიკაში ფისკალური სტიმულების შესუსტების ხარჯზე, სოციალური მიმართულების ხარჯების ზრდის სასარგებლოდ.

მკაფიო სურათის მიღების მიზნით შევარჩიეთ 2011 და 2013 წლები: პირველი, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხოლო უკანასკნელი როგორც ყველაზე დაბალი. დავაკვირდეთ, თუ რა ცვლილებები მოხდა ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალური ხარჯების სტრუქტურაში. (იხ. ცხრილი 1).

საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე დიდი ცვლილება განიცადა ორმა მიმართულებამ: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების წილი შემცირდა 3.94%–ით [192 მლნ ლარი] ხოლო სოციალური დაცვის წილი კი გაიზარდა 4.6%–ით [369 მლნ ლარი] და 1 817 ათას ლარს მიაღწია.

ცხრილი 1

ხარჯები	2011		2013	
	ხარჯები (ათასი ლარი)	% წილი	ხარჯები (ათასი ლარი)	% წილი
საერთო დანიშნულების სახელწმიფო მომსახურება	1,919	27.6	1,727	23.6
თავდაცვა	716	10.3	630	8.6
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	844	12.1	860	11.8
ეკონომიკური საქმიანობა	896	12.9	907	12.4
გარემოს დაცვა	25	0.4	26	0.4
საბინაო კომუნალური მეურნეობა	36	0.5	38	0.5
ჯანდაცვა	363	5.2	481	6.6
დასვენება, კულტურა და რელიგია	157	2.2	145	2.0
განათლება	565	8.1	683	9.3
სოციალური დაცვა	1,448	20.8	1,817	24.8
სულ	6,966		7,313	

წყარო: www.mof.ge

მეტი კონტრასტისათვის ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ 2013 წლის საბიუჯეტო ხარჯების მოდელირებული ვერსია სადაც, საბაზისო იქნება 2012 წლის ბიუჯეტი და 2012–2013 წლებში ბიუჯეტის ზრდის მაჩვენებელი და გავაკეთოთ „წყარო–გამოყენების“ ტიპის ანალიზი. შედეგად, შევძლებთ დავინახოთ, თუ სად იქნა ფორმირებული ახალი საბიუჯეტო პრიორიტეტების დაფინანსების წყაროები. (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

წყარო	მლნ ლარი		გამოყენება
განათლება	-20	1	საბინაო კომუნალური მეურნეობა
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	-26	89	განათლება
ეკონომიკური საქმიანობა	-33	101	ჯანდაცვა
თავდაცვა	-121	297	სოციალური დაცვა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	-288		

წყარო: www.mof.ge

შედეგად ჩვენ გვაქვს ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალური ხარჯების ტრანსფორმაციის მკაფიო სურათი, სადაც ჩანს რომ არა საბიუჯეტო პრიორიტეტების შენარჩუნების პირობებში ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით გვექნებოდ მაქსიმუმ 33 მლნ ლარის ზრდა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ინტერესის ობიექტს წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდის ტემპი. (იხ. ნახ 2).

ნახაზი 2



წყარო: www.mof.ge

შესადარებლად აღებულ 2011–2013 წლებს შორის არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლებს შორის სხვაობა 477 600 ლარს შეადგენს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 2012 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 2011 წელთან შედარებით 2,5%–ით გაიზარდა შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ზრდის მოცემული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში 2013 წლის მოდელირებულ მაჩვენებელსა და ფაქტიურად არსებულ მაჩვენებელს შორის სხვაობა 572 605 ლარს შეადგენს.[6] რადგან არაფინანსური აქტივების ზრდის მიმართულებით გაწეული ხარჯები ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთი საშუალებაა, [რომლის მნიშვნელობაც ბიზნესის ციკლის დაღმავალ ფაზებში გასაკუთრებით იზრდება] შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. „დიდი რეცესიის“ ფონზე რომელიც 2008 წლის შემდეგ მსოფლიოში განვითარდა, ჩვენს ეკონომიკას 2013–2014 წლებში ფისკალური სტიმულირების მნიშნელოვანი მუხტი დააკლდა, რაც აისახა კიდეც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე (იხ. ნახ. 1).

ზემოაღნიშნულის მსგავსად კრიტიკულად მნიშნელოვან საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო ფონდებზე მოსახლეობის დამოკიდებულების დონე. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალური ხარჯების სტრუქტურამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, მოცემული საკითხი კვლავ პრობლემად რჩება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2013 წელს პენსიონერების, სოციალურად დაუცველების და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულების რაოდენობა შეადგენდა 1 237 760 ადამიანს [მოსახლეობის 33.19%], ხოლო კერძო სექტორში დასაქმებული იყო 550 885 ანუ კერძო სექტორში დასაქმებული ყოველი პირი საკუთარი თავის გარდა აფინანსებს 2.25 მოქალაქეს.[7]

თუ ზემოაღნიშნულ პრობლემებს გავაერთიანებთ მივიღებთ, რომ მიუხედავად სახლმწიფო ფონდების არც თუ მასშტაბური შესაძლებლობებისა, ვერ ხერხდება სახელწმიფოს ხელთ არსებული შესაძლებლობების ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის გამოყენება. შესაბამისად, გვქონდა რესურსი გლობალური რეცესიის ტრენდისაგან განსხვავებული შედეგების გვეჩვენებინა რაც ვერ გამოვიყენეთ. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილება

- არ შეაჩეროს მონეტარული სტიმულირების პროგრამა ვფიქრობ ყურადსაღებ ფაქტს წარმოადგენს და თუ აღნიშნულს ზემოთ განხილულ მოცემულობასაც დავუმატებთ, ნათლად შეგვიძლია დავინახოთ სახელმწიფო ფონდების ხარჯვის პრიორიტეტების გადახედვის აუცილებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

http://money.cnn.com/2009/03/25/news/economy/depression_comparisons/

http://www.bloomberg.com/news/articles/2015-08-23/china-led-emerging-market-turmoil-evokes-worrisome-1994-parallel

https://mises.org/library/thrall-federal-reserve

http://www.usatoday.com/story/money/business/2015/01/22/ecb-qe-monetary-stimulus-eurozone-economy-davos-switzerland/22149557/

http://www.frbsf.org/economic-research/publications/economic-letter/2012/november/highway-grants/

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – www.mof.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge

იოსებ არჩვაძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

აგრარული სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამდროვე საქართველოს ეკონომიკაში

სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის უძველესი და იმავდროულად, ჯერჯერობით ყველაზე ჩამორჩენილი და დაბალეფექტიანი დარგია. ამ დარგში დასაქმებულია 830 ათასი კაცი - საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 41.9 პროცენტი, მაგრამ იქმნება ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) მხოლოდ 8.1 პროცენტი. გამოდის, რომ საშუალოდ ერთ დასაქმებულზე აღნიშნულ დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება (შრომის მწარმოებლურობა) საქართველოს ეკონომიკის დანარჩენ დარგებს ჩამორჩება 7.9-ჯერ, ხოლო ქვეყნის ეკონომიკის საშუალო მაჩვენებელს - 5.2-ჯერ.

აგრარული სექტორის წილით ეკონომიკაში (მშპ-ში) საქართველო მსოფლიო სახელმწიფოთა შორის 80-ე ადგილზეა - კაბე ვერდესა და შრი ლანკას შორის [8]. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, როგორც წესი, მით უფრო დაბალი წილი უკავია ამ ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობას. ამიტომ აგრარული სექტორის წვლილის შემცირება ეკონომიკაში ორ უკანასკნელ ათწლეულში 4.2-ჯერ (1996 წლის 34.1%-დან 2018 წლის 8.1%-მდე), არ უნდა ჩაითვალოს ნეგატიურად. - პირიქით, ნეგატიურად უნდა ჩაითვალოს მოწინავე ქვეყნებთან შედარებით აგრარული სექტორის ჯერაც მაღალი წილი და შრომის დაბალი მწარმოებლურობა ეკონომიკის აღნიშნულ სექტორში. - მაგალითად, სოფლის მეურნეობაზე მოდის აშშ-ის მშპ-ის მხოლოდ 1.01 პროცენტი; ევროკავშირის ყველაზე სუსტ ქვეყნებში - რუმინეთსა და ბულგარეთში, შესაბამისად, 4.09 და 4.05 პროცენტი, ევროკავშირის უძლიერეს ქვეყნებში კი, როგორებიც არიან გერმანია და გაერთიანებული სამეფო - 0.55 და 0.54 პროცენტი. მიუხედავად ასეთი დაბალი წილისა ეროვნულ ეკონომიკაში, მოსახლეობის ერთ სულზე ევროკავშირი მაინც „ახერხებს“ საქართველოსთან შედარებით 2.5-ჯერ მეტი აგრარული პროდუქციის წარმოებას.

ჩამორჩენას აქვს ადგილი როგორც „ჰორიზონტალურ“ - ეკონომიკის დარგობრივ-სექტორალურ ჭრილში, ისე „ვერტიკალურ“ - ქრონოლოგიურ ჭრილში. - **საქართველოს სოფლის მეურნეობას ჯერ არ მიუღწევია მწარმოებლურობის იმ დონისათვის, რაც მას 1980-იანი წლების ბოლოს ჰქონდა.** – 1988 წელს შრომის მწარმოებლურობა ერთ დასაქმებულზე შეადგენდა 4.0 ათას მანეთზე მეტს [1;112], რაც მაშინდელი საბჭოთა მანეთისა და ქართული ლარის მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, ამჟამინდელ მწარმოებლურობაზე 2.3-ჯერ უფრო მაღალია.

ჩვენი გაანგარიშებით, 1988 წლის ერთი მანეთის მყიდველობითი უნარიანობა გააჩნდა 2009 წლის 2.958 ლარს [2; 20]. 2009 წელთან შედარებით სამომხმარებლო ფასების დონე საქართველოში 33 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად, 1988 წლის 1 მანეთი 2018 წლის 3.93 ლარის ექვივალენტურია. 2018 წელს ერთ დასაქმებულზე სოფლის მეურნეობაში წარმოებულ იქნა დაახლოებით 6.9 ათასი ლარის პროდუქცია, რაც 1988 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 43.6 პროცენტია.

დღეისათვის აგრარულ სექტორში დასაქმებული ქმნის პროდუქციას, რომელიც ექვივალენტურია თვეზე გადაანგარიშებით, მხოლოდ სამი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო

მინიმუმისა, ანუ იმ მინიმალური რაოდენობისა, რაც საკმარისია სოფლის მეურნეობის არსებული დონის მხოლოდ მარტივი კვლავწარმოებისათვის. მარტო ეს მონაცემებია საკმარისი საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის არასახარბიელო ვერდიქტის გამოსატანად: **საქართველოს სოფლის მეურნეობას საკმაოდ სუსტი საბაზრო ხასიათი აქვს.** - ბოლო მონაცემებით (2017 წ.), სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დასაქონლიანების დონე (გაყიდული პროდუქციის წილი მთელ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში) მხოლოდ 44.6 პროცენტი იყო, როდესაც ჯერ კიდევ 1980-იანი წლების შუა ხანებში აღნიშნული მაჩვენებელი 57 პროცენტს აღწევდა.

იმისათვის, რომ აღნიშნული დარგის საბაზრო კომპონენტი კარგად განვითარებულად ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ დარგში დასაქმებულმა ყოველმა პირმა აწარმოოს ქვეყნის არანაკლებ 15 მცხოვრებისათვის საკმარისი პროდუქცია. აშშ-ში, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში 1 დასაქმებული არჩენს (აწარმოებს საკმარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას) 77 თავის თანამოქალაქეს, ეს იმ დროს, როდესაც აშშ ქმნის მსოფლიო სასურსათო ექსპორტის დაახლოებით 12 პროცენტს. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ისრაელს, სადაც სოფლის მეურნეობაში ერთი დასაქმებული ქმნის 95 თანამოქალაქის სამყოფ პროდუქციას [14].

საქართვლოს აგრარული სექტორის ჩამორჩენის მიზეზი მრავალსპექტიანია. - დიდი ხნის მანძილზე ეს დარგი „გერის“ როლში რჩებოდა, მას სათანადო ყურადღება, ფინანსირება არ ეძლეოდა. საბჭოთა დროინდელი ერთგვარი პრივილეგირებული მდგომარეობა, როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმება და პირად დამხმარე მეურნეობებში მოწეული პროდუქციის საბჭოთა კავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში მაღალი ფასებით რეალიზაცია, საშუალებას აძლევდა სოფლად მცხოვრებლებს საკმაოდ შეძლებულად ეცხოვრათ, ამ ბაზრის დაკარგვის შემდეგ მყისიერად დასრულდა. მას „ჩაენაცვლა“ დარგის სისტემური კრიზისი, სტაგნაცია და სოფლად მცხოვრებთა კეთილდღეობის მკვეთრი დაცემა. ბოლო თითქმის სამი ათეული წელია, სასოფლო წარმოებაში კოლექტიურ მეურნეობებზე მასობრივი უარის შემდეგ ფეხი ვეღარ მოიკიდა კოოპერატიულმა საქმიანობამ. ამის გამო ძნელდება მსხვილი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ხარჯზე მწარმოებლურობის ამაღლება და სინერგიის ეფექტის მიღწევა. ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა აგრარული მეცნიერების განვითარება, ტექნოლოგიური განახლება და კვლევები, მსოფლიო გამოცდილების გადმოღება-დანერგვა, რის გამოც შეიძლება ითქვას, რომ **ჩვენი დღევანდელი სოფლის მეურნეობა მოწინავე ქვეყნებისას დაახლოებით ერთი ტექნოლოგიური ეპოქით ჩამორჩება.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის ამგვარი მდგომარეობა ვლინდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დაბალ დონეში. ძირითადი **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან 100-პროცენტიანი უზრუნველყოფის დონე საქართველოს მხოლოდ ყურძნისა და კარტოფილის მიხედვით აქვს;** 100-პროცენტიან ნიშნულთან შედარებით ახლოსაა კვერცხით თვითუზრუნველყოფის დონე (98%). ყველა დანარჩენი პროდუქტის მიხედვით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საკმარისია ქვეყნის თვითუზრუნველყოფისათვის: ხორბალი - 15%, სიმინდი - 64%, ბოსტნეული - 65%, ხორცი - 46%, რძე და რძის პროდუქტები - 82% [7; 91-96].

შესაბამისად, გარე დახმარების, მხარდაჭერის, სახელმწიფო სუბსიდირებისა და სხვადასხვა წყაროებიდან წამოსული ინვესტიციების გარეშე აღნიშნული დარგი ვერ შეძლებს დინამიურ

განვითარებას და ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტას.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში სახელმწიფო მზრუნველობა აგრარულ სექტორს აშკარად დაეტყო. 2013 წლის შემდეგ აღნიშნულ დარგს აღარ ჰქონია ჩავარდნები, რომლებიც წინა პერიოდში რეგულარულად ხდებოდა (ყოველ მომდევნო წელს, წინა წელთან შედარებით, ქვეყანაში ნაკლები სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იწარმოებოდა). დარგის დაფინანსება ბოლო წლებში დაახლოებით 5-6-ჯერ აღემატება 2010-იანი წლების დასაწყისის ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს აშკარად დაეტყო როგორც აღნიშნული დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის დინამიკას, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტსაც, რასაც ქვემოთ მოტანილი გრაფიკი თვალნათლივ წარმოაჩენს.

გრაფიკი 1

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის დინამიკა 2010-2018 წლებში (პროცენტი; 2010 წ. = 100)



აგრარული სექტორის პროდუქციის ასეთი წინმსწრები ზრდა ხაზს უსვამს საქართველოს ჩართულობას მსოფლიო აგრარული პროდუქციის მსოფლიო ბაზარში, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამავე დროს, ქვეყანაში ამგვარი პროდუქციის წარმოების არასაკმარისი დონის გამო, ადგილი აქვს, იმპორტირებული პროდუქციის დინამიურ ზრდასაც, რაზეც წარმოდგენას ქვემოთ მოტანილი გრაფიკი იძლევა.

გრაფიკი 2

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი გამოშვებასთან აგრარული პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტი ს თანაფარდობა 2010-2018 წლებში (%)



როგორც ვხედავთ, ბოლო წლებში ქვეყნის აგრარული სექტორის გამოშვებულ პროდუქციასთან აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის თანაფარდობა მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაშინ როდესაც იმპორტის თანაფარდობა თითქმის გაორმაგდა. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის აგროსასურსათო პროდუქციის მოხმარებაში იზრდება იმპორტის წილი და შესაბამისად, მცირდება ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წილი. და თუ კლიმატური პირობებით ჩვენთან შედარებით გაცილებით უარეს მდგომარეობაში მყოფ ისრაელში აგროსასურსათო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონე 92 პროცენტია [14], საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 40 პროცენტზე დაბალია. ისრაელი, რომელსაც არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, ფაქტობრივად არა აქვს საძოვრები, ახერხებს თავისი მოსახლეობის მოთხოვნილების მთლიან, 100-პროცენტიან დაკმაყოფილებას რძესა და რძის პროდუქტებში [10;14], მაშინ როდესაც საქართველო, ხელსაყრელი კლიმატური პირობების, აურაცხელი საძოვრებისა და ისრაელთან შედარებით თითქმის 3 მილიონით ნაკლები მოსახლეობით - მხოლოდ 82 პროცენტით.

გრაფიკი 3

აგროსასურსათო პროდუქციის მოხმარებაში ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის წილი 2010-2018 წლებში (პროცენტი)



ბოლო რვა წლის მანძილზე აგროსასურსათო პროდუქციის უარყოფითმა საგარეო სავაჭრო სალდომ -4232.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა - საშუალოდ წელზე გაანგარიშებით - ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი (-529 მლნ. აშშ დოლარი). - ეს თითქმის 10 პროცენტით აღემატება საქართველოს 2003 წლის მთლიან მშპ-ს. ამასთან, ბოლო წლებში უდავო წარმატებების ფონზე, ცალკეული სასაქონლო პოზიციების მიხედვით ადგილი აქვს მდგომარეობის აშკარა გაუარესებას.[1]

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ასეთი დისბალანსის პირობებში განსაკუთრებით **თვალში საცემია ექსპორტ-იმპორტის დისპროპორცია მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის მიხედვით პირველისასარგებლოდ.** – ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას საბჭოური პერიოდის განმავლობაში თავსმოხვეული ცალმხრივი განვითარების და სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების სპეციალიზაციის მემკვიდრეობისაგან თავი ჯერაც ვერ დაუღწევია. საქართველოს არასაკმარისი რაოდენობით აქვს საკუთარი წარმოების მარცვლეული, დიდწილად იგი იმპორტზეა დამოკიდებული. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თხილის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა 2014-2018 წლებში. 2014 წელს თხილის წილად მოდიოდა საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის 22.2%, 2018 წელს იგი შემცირდა 7.3%-მდე. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ დასავლეთ საქართველოში ფაროსანას შემოსევისა და თხილის ნარგავებში სოკოვანი დაავადებების ფართოდ გავრცელების გამო მკვეთრად შემცირდა თხილის წარმოება, პარალელურად დაეცა მისი სარეალიზაციო ფასი, რის გამოც 2018 წელს 2014 წელთან შედარებით თხილის ექსპორტი

1

შემცირდა 2.6-ჯერ, მაშინ როდესაც იმპორტი გაიზარდა 9.0-ჯერ. შედეგად, ექსპორტით იმპორტის გადაფარვა თხილის მიხედვით 2014 წლის 1.74%-დან 2018 წლისთვის 41.75%-მდე გაიზარდა. მაგალითად, ინდუსტრიულად და ტექნოლოგიურად მოწინავე პოზიციებზე მყოფ ევროკავშირში მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 653 კგ-ს, მაშინ როდესაც საქართველოში, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ 100-110 კგ-ს.

სამაგიეროდ, საექსპორტო დატვირთვა აშკარად ეტყობა ყურძნისა და ციტრუსების, ნაწილობრივ აგრეთვე, ხილისა და ბოსტნეულის წარმოებას. ამის გამოა, რომ თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციას თითქმის თანაბარი წილი უკავიათ [7; 18], აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტში მემცენარეობის პროდუქციას (ან იმ პროდუქციას, რომლის სანედლეულო რესურსი მემცენარეობის პროდუქციაა, მაგალითად, შაქარი - იმპორტში და ღვინო - ექსპორტში) სრული დომინირება აქვს. - საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში მის წილად მოდის 9/10-ზე მეტი, ხოლო იმპორტში, შესაბამისად, 4/5-ზე მეტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **2018 წელს მცენარეული წარმომავლობის ექსპორტმა 9.7-ჯერ გადააჭარბა მეცხოველეობის პროდუქციის ექსპორტს, ხოლო იმპორტში, შესაბამისად, 4.9-ჯერ,** რაზეც სრულ წარმოდგენას ქვემოთ მოტანილი გრაფიკი იძლევა.

გრაფიკი 4

მემცენარეობისა და მეცხოველეობის (ან შესაბამისი წარმომავლობის) პროდუქციის წილი საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში, იმპორტსა და წარმოებაში 2018 წელს

(პროცენტი)



მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ტემპმა 0.3 პუნქტით გადააჭარბა დანარჩენი ექსპორტის ზრდას (შესაბამისად, 123.2% და 122.8%), აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი ასევე უსწრებდა დანარჩენი ეკონომიკის ზრდის ტემპს (შესაბამისად, 115.2% და 114.9%), რის გამოც აგროსასურსათო საქონლის დეფიციტი ერთი წლის მანძილზე უმნიშვნელოდ - მხოლოდ 2.0 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა (-$401.2-დან -$399.2-მდე).

საქართველოს აგრარულ სექტორში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ფიქრი საქმიანობის აღნიშნული სფეროში ეფექტიანობის არსებით ამაღლებაზე.

ერთერთ ასეთად გვესახება, მიუხედავად ბოლო წლების პოზიტიური ზრდისა, **დარგის დაფინანსების არასაკმარისი დონე**. - აგრარულ სექტორის წილი სახელმწიფო ასიგნებებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაში საგრძნობლად ჩამორჩება დარგის წილს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, რაზეც ქვემორე ცხრილი გვაძლევს წარმოდგენას.

ცხრილი 1

სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, სახელმწიფო ასიგნებებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2010-2018 წლებში, %

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მთლიანი გამოშვება	7.9	9	7.7	8.4	8.2	8.0	7.9	7.1	7.0
სახელმწიფო ასიგნებები	0.6	0.6	3.0	2.7	3.0	2.5	2.6	1.8	1.5
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	1.02	1.49	1.58	1.27	0.68	1.12	0.53	0.65	1.11

მოწინავე ქვეყნები, ვისაც განვითარებული, მაღალმწარმოებლური აგრარული სექტორი აქვთ, ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას „ავტონომიურ ცურვაში“ კი არ უშვებენ, არამედ მძლავრ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას უცხადებენ. დიდი ხნის მანძილზე ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის თითქმის 4/5 აგრარული სექტორის სუბსიდირებაზე იყო მიმართული და მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელის იგი... 40 პროცენტამდე შემცირდა. აშშ-ში ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მიხედვით სუბსიდირება 40-დან 60 პროცენტამდეა [12]. 2013 წელს აღნიშნულ დარგზე გაწეული დახმარების თანაფარდობამ ამ დარგის მთლიან პროდუქციასთან 37.8 პროცენტი შეადგინა [13; 11], მაშინ როდესაც საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 6 პროცენტს არ აღემატება. კიდევ უფრო მაღალია სუბსიდირება იაპონიაში ამ ქვეყნისთვის ისეთი საკულტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის, როგორიც ბრინჯია - დაახლოებით 80 პროცენტი. ევროკავშირში საშუალოდ ყოველ 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე სახელმწიფო სუბსიდირება 170.9 ევროს შეადგენს [10; 8].

მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მხარდასაჭერად სახელმწიფო სუბსიდიები აშშ-ში ტოლია 46.5 მილიარდი დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1%), ევროკავშირის ქვეყნებში - 121.4 მილიარდი აშშ დოლარის (1.3%), იაპონიაში - 48,7 მილიარდი აშშ დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1.4%) [4; 106-107]. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის სიდიდით აშშ უსწრებს საქართველოს 5.6-ჯერ, საკუთარი ქვეყნის აგრარული სექტორის

სუბსიდირებით კი გაცილებით მეტად - 10.2-ჯერ, ევროკავშირი, შესაბამისად, 4.2-ჯერ და 9.8-ჯერ, იაპონია - 4.0-ჯერ და 10.2-ჯერ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენა ამ ქვეყნებთან აგრარული სექტორის სუბსიდირების მხრივ 2.0-2.5-ჯერ უფრო მეტია, მათთან ეკონომიკურ ჩამორჩენასთან შედარებით.**

ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს უცხოური ინვესტიციების ასიმეტრიული განაწილება საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სექტორების მიხედვითაც. 2011 წლიდან დღემდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური მოცულობა აგრარულ სექტორში დაახლოებით 240 მლნ. აშშ დოლარია, მაშინ როდესაც საბანკო სექტორში, რომლის წვლილი ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობისას 2-ჯერ ჩამორჩება, 5.7-ჯერ მეტი - თითქმის 1.4 მლრდ. აშშ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ ასევე ჯერადად (ცალკეული წლების მოხედვით, 3.5-15-ჯერ) მეტია უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოს უძრავ ქონებაში სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებთან შედარებით. შეიძლება ითქვას, რომ საზღვარგარეთელი სუბიექტების მხრიდან ეს ქართული მიწისადმი, როგორც **საკუთრების ობიექტისადმი,** უფრო მაღალი ინტერესის (არა მხოლოდ ეკონომიკური!) გამოხატულებაა, ვიდრე მისდამი, როგორც **მეურნეობის ობიექტისადმი.**

სადაზღვევო ურთიერთობები, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ერთერთი ცივილიზებული ფორმა, ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამს აგრარულ სექტორში. - მშპ-სთან სადაზღვევო პრემიის საერთო პაკეტის თანაფარდობის საშუალო მსოფლიო დონესთან (6.13%) [9; 46] შედარებით საქართველოს ანალოგიური მაჩვენებელი (1.2%) დაახლოებით 5-ჯერ უფრო დაბალია, ანუ ჩამორჩენა ამ ინდიკატორით გაცილებით მეტია, ვიდრე ადგილი აქვს ჩამორჩენას ეკონომიკური განვითარების მხრივ. კიდევ უფრო მძიმეა მდგომარეობა აგრარულ სექტორში. - **აგროდაზღვევის წილი დაზღვევის მთლიან პაკეტში დაახლოებით 2-ჯერ ჩამორჩება დარგის წილს ეკონომიკის მთლიან გამოშვებასა და შექმნილ დამატებულ ღირებულებაში** (შესაბამისად, 4% და 8%). - მოწინავე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, იმის გათვალისწინებით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელ პროცესს თან სდევს მომეტებული რისკი, დამოკიდებულება ამინდის ცვალებადობაზე, კლიმატზე, აგროდაზვევის წილი სადაზღვევო პაკეტის მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვნად აღემატება დარგის წილს შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკაში. ასე მაგალითად, ამერიკის ეკონომიკაში აგრარული სექტორის წილად მოდის მხოლოდ 1 პროცენტი, ხოლო მთლიან სადაზღვევო პაკეტში აგრარული პაკეტის წილი 6 პროცენტია. დიდია აგრეთვე სახელმწიფოს მონაწილეობა შესაბამისი სადაზღვევო პორტფელის ფორმირებაში. მაგალითად, რუსეთში სახელმწიფო მხარდაჭერის წილად მოდის აგროდაზღვევის მთლიანი მოცულობის ნახევარი [11; 46].

მდგომარეობის გამოსწორების მიმართულებით ნაბიჯები ბოლო წლებში ინტენსიურად იდგმება. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ დააზღვიონ რისკები სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლის და საშემოდგომო ყინვისაგან. პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაეზღვიოს არაუმეტეს 5 ჰა მიწის ნაკვეთი, გარდა მარცვლეული კულტურებისა (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში - 30 ჰა). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების

შემთხვევაში, სადაზღვევო პრემიის მაქსიმალური ოდენობა 50,000 ლარია, ხოლო დასაზღვევი მიწის ნაკვეთის ფართობი შეუზღუდავია [6; 46]. თითოეული დამზღვევი 70%-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე - 50 % -ს. ამასთან, დამზღვევს შესაძლებელია დაზღვეული ჰქონდეს როგორც მარცვლეული კულტურა, ისე სხვა კულტურები ერთდროულად.

მთლიანობაში, იკვეთება ტენდენცია, რომლითაც სოფლის მეურნეობა თანდათან უფრო მეტ ყურადღებას იქცევს არა მარტო სახელმწიფოსაგან, არამედ უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტორებისაგან, თვით ამ სფეროში დასაქმებული მეწარმენი, ფერმერები, გლეხური მეურნეობები უფრო ხშირად მიმართავენ საკრედიტო დაწესებულებებსაც თავიანთი საქმიანობის გაფართოებისათვის ფინანსური რესურსების მოსაზიდად. მარტო კომბანკებისაგან აგროდანიშნულებით გაცემული სესხების საშუალოწლიური მაჩვენებელი 2010-2012 წლების 66.0 მლნ. ლარიდან 2016-2018 წლებში 248 მლნ. ლარამდე, ანუ 3.8-ჯერ გაიზარდა. მთლიანობაში, ამ დარგში აკუმულირებული ფინანსური რესურსები ბოლო სამ წელიწადში (2016-2018 წწ.) 2.6-ჯერ აღემატება წინა ხელისუფლების ბოლო სამი წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (იხ. ქვემორე გრაფიკი).

გრაფიკი 5

საქართველოს აგრარულ სექტორში მობილიზებული ფინანსური სახსრების (სახელმწიფო სუბსიდირება, კრედიტები, უცხოური ინვესტიციები) **საშუალოწლიური მოცულობა 2010-2012 და 2016-2018 წლებში** (მლნ. ლარი)



ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას პრობლემები აღარ აქვს. ყველა პრობლემა დაძლეულია. - ხატოვნად რომ ვთქვათ, ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად, ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორი, მართალია გამოყვანილ იქნა რეანიმაციის განყოფილებიდან, მაგრამ ჯერ ისევ საჭიროებს ინტენსიურ თერაპიას.

რა შეიძლება გაკეთდეს სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, ამ სფეროში მწარმოებლურობის ასამაღლებლად, რომლებიც აღნიშნულ დარგს ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლიდან ერთერთ ძლიერ და დინამიურად განვითარებად დარგად გადააქცევს?

ერთერთი ძირითადია **საკრედიტო რესურსების შემდგომი გაიაფება და სახელმწიფო**

სუბსიდირება. - ამ სფეროში კვლავწარმოების ციკლი საკმაოდ ხანგრძლივი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - საკმაოდ სუსტი, ხოლო წარმოების პროცესი - საკმაოდ მარალრისკიანია, რომ დარგმა მხოლოდ საკუთარი შიდა რესურსების მობილიზაციით შეძლოს ფეხზე მყარად დგომა.

მნიშვნელოვანია **მიწების პარცელიზაციის პრობლემის დაძლევა,** რომელიც დღემდე სერიოზულად აფერხებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას და მასშტაბებს. საჭიროა მეტი ორგანიზაციული, პროპაგანდისტული და ეკონომიკური სტიმულების გამოყენება, რათა მიწის მესაკუთრეებმა იგრძნონ მიწების გაერთიანების და ზოგადად, **კოოპერირების** სინერგიის ეფექტი.

დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით, მანქანა-იარაღებით აღჭურვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება მძლავრ იმპულსს მისცემს დარგში შრომის მწარმოებლურობის ზრდას და აგრარული სექტორიდან შრომითი რესურსების გამოთავისუფლებისა და სხვა დარგებში მიზანშეწონილი გადანაწილების პროცესს.

სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული მიწის ფონდის გადაცემა საქართველოს მოქალაქეებისათვის გაზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მასშტაბებს, გააფართოებს მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის სანედლეულო ბაზას, ხელს შეუწყობს აგროსასურსათო პროდუქციის უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსის თანდათანობით შემცირებას და გაქრობას, რაც გაზრდის ეკონომიკის მდგრადობას და პოზიტიურად იმოქმედებს ეროვნული ვალუტის კურსსა და ინფლაციაზე.

აღნიშნულის გარდა, გადაუდებელ ამოცანად გვესახება **უნიკალური და ცნობილი სახეობის აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის, ბრენდირების ზრდა და** ტურიზმის აგრარულ სექტორთან დაკავშირებული სახეობისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, საგადასახადო შეღავათების ფორმატის გაფართოება აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებაში, სადაზღვევო სისტემის განვითარება და მისით დარგის ფაქტობრივად მთლიანი გადაფარვა, არააგრარული საქმიანობის ფორმების ხელშეწყობა-წახალისება სოფლად მცხოვრებთა კეთილდღეობის ამაღლებისა და გამრავალფეროვნებისათვის.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების, ბუნებრივი რესურსების მართვისა და ეკოლოგიურად სუფთა მეთოდების დანერგვის, ასევე, ქართველ ფერმერებში კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და აგროწარმოების გამო კლიმატის ცვლილებების შემცირების საკითხებში გარკვეული იმედები დაკავშირებულია საერთაშორისო თანამშრომლობასა და დახმარებებთან (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO და სხვ.).

ასეთი ღონისძიებების გატარების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკის განვითარება მიიღებს უფრო მეტ დინამიზმს, ხოლო მოსახლეობა - კეთილდღეობის გაცილებით მაღალი სტანდარტების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი., მექვაბიშვილი ე., საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. – „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, N6.

2. არჩვაძე ი., არჩვაძე ირ., მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი ქართულ ლარსა და საბჭოთა მანეთს შორის (ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი). - თბილისი, „მერიდიანი“, 2010.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017 წელს. სტატისტიკური წელიწდეული, თბილისი, 2018

4. ჯახაია ლ., აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემები და მისი დაძლევის პერსპექტივები (აჭარის მაგალითზე) (ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), ბათუმი, 2017.

5. ღუტიძე თ., „აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში". ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. - თბილისი, 2018

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში 2017.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017 წელს. სტატისტიკური წელიწდეული, თბილისი, 2018.

8. GDP share of agriculture - country rankings. 2017.

9. SwissRe, *sigma*, No. 3/2018.World insurance in 2017. -

10. Государственная поддержка сельского хозяйства. Развитые и развивающиеся страны. - М., 2017.

11. Махдиева Ю., Сельскохозяйственное страхование в системе продовольственной безопасности страны. – Национальные интересы: приоритеты и безопасность. №42 (279), 2014.

12. Международный опыт частно-государственного партнерства и государственной поддержки в агрострахования. 21/04/2015

13. ОБЗОР мирового опыта предоставления государственной поддержки сельского хозяйства. М., 2016.

14. Сельское хозяйство Израиля: идеология плюс инновации. №2, февраль-март 2013 г.

ელგუჯა დეისაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ასისტენტ პროფესორი

კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმების განვითარების ისტორიული გამოცდილება

დღეს საქართველოში არის უზარმაზარი მოლოდინი იმ შედეგებისა, რომელსაც კოოპერატივებმა უნდა მიაღწიონ. ევროკავშირი ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობია. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. ამ პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაზე კეთდება. თავად პროგრამა კი, რომლის ბიუჯეტი 2013-2019 წლებისთვის 102 მილიონი ევროა, მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის განვითარებას და სოფლის მეურნეობის სექტორის გამოცოცხლებას ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ფერმერებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომლის წევრებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და საერთო ეკონომიკური ინტერესი აერთიანებთ. სწორედ ამ საერთო ეკონომიკური ინტერესის, რომელიც შეიძლება იყოს სოციალურიც და კულტურულიც, ბუნებიდან გამომდინარე არსებობს სხვადასხვა ტიპის კოოპერატივები: საწარმოო, სერვისის, სამომხმარებლო, საკრედიტო, მარკეტინგული და სხვ.

თავად კოოპერატივის რაობის საფუძველს თანამშრომლობა, თანადგომა და ურთიერთდახმარება წარმოადგენს. 1995 წელს კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსმა[1] მიიღო ე.წ. „კოოპერატივების იდენტობის განაცხადი“, რომელშიც ჩამოყალიბებულია კოოპერატიული პრინციპების განსაზღვრებები და განმარტებები. აღნიშნული განაცხადის მიხედვით, „კოოპერატივი წარმოადგენს ინდივიდთა ნებაყოფლობით საწყისებზე შექმნილ ავტონომიურ გაერთიანებას, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს წევრთა ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მოთხოვნილებანი და საჭიროებანი საერთო მფლობელობაში მყოფი და დემოკრატიული მართვის პრინციპებზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობის გზით.“ კოოპერატივები ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა თვითდახმარება, თვითპასუხისმგებლობა, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლიანობა და სოლიდარობა. კოოპერატივების 7 ფუნდამენტური პრინციპია: ნებაყოფლობითი და ღია წევრობა; წევრთა მართვის დემოკრატიული სისტემა; წევრთა ეკონომიკური მონაწილეობა; ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა; განათლება, ტრეინინგი და ინფორმაცია; კოოპერაცია კოოპერატივებს შორის; საზოგადოებაზე (თემზე) ზრუნვა.

როგორც ისტორიული, ასევე უახლესი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში და ზოგიერთ სექტორში კოოპერატივები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 156 ქვეყნის მონაცემბზე დაყრდნობით, დღესდღეობით კოოპერატივებში 279.4 მილიონი კაცია დასაქმებული; ეს კი მსოფლიოში დასაქმებულთა რაოდენობის 9,46%-ია. კოოპერატივებში დასაქმებულთა უმეტესი ნაწილი (252.2 მილიონი ადამიანი) თვითდასაქმებულია და სოფლის მეურნეობის სექტორს მიეკუთვნება [3]. ევროპაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი ძალზე დიდია:

1 კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსი (ICA) - დაარსდა 1895 წელს. მისი შტაბ-ბინა ბრიუსელშია.

სასოფლო– სამეურნეო პროდუქტების წარმოების, გადამუშვებისა და მარკეტინგის 60%-ზე მეტი სწორედ მათზე მოდის. ევროპული სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების ჯამური ბრუნვა დაახლოებით 260 მილიარდ ევროს შეადგენს. ევროპის ყველაზე დიდი კოოპერატივის ფინანსური ბრუნვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტს სამჯერ–ოთხჯერ აღემატება! [1].

წარმატებულ გამოცდილებებზე დაყრდნობით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კოოპერატივები „დემოკრატიის სკოლებადაა“ აღიარებული, ჰილბომი (1998) თავის დროზე აცხადებდა, რომ „არსებობს კორელაცია დემოკრატიის პროგრესსა და საბაზრო ეკონომიკის გეზით ეკონომიკურ ზრდას შორის“. ჰილბომის ეს მოსაზრება გარკვეულწილად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ არის სხვადასხვა ქვეყანაში კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმები სხვადასხვა ხარისხით განვითარებული და რატომ არის, რომ ინდივიდები და ფირმები ყველგან ვერ ახერხებენ თავიანთი საქმიანობის კოორდინაციას, მუხედავად იმისა, რომ კარგად ესმით კოოპერიტავად ფუნქციონირების პოტენციური სარგებელი. აქ მიზეზები ბევრია ქვეყანაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხარისხის ჩათვლით, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ ორი უმთავრესი: (1) სოციალური კაპტალის[2] ნაკლებობა და (2) ლიდერობა-ხელმძღვანელობის პრობლემა. თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი შეიძლება იყოს ქვეყანაში ფორმალური და არაფორმული კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმების ისტორიული გამოცდილებაც, რომელიც არ უნდა იყოს წყვეტადი, ისე როგორც ეს საქართველოს, ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების შემთხვევაში მოხდა.

რუსი ეკონომისტი და ინტერდისციპლინარული „გლეხთმცოდნეობის“ ფუძემდებელი ალექსანდრე ვასილის ძე ჩაიანოვი თავის ნაშრომში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი იდეები და ფორმები“ წერდა - „პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული ფორმები გამომუშავდება ისტორიული, და არა ლოგიკური გზით. ხშირად მეტად კარგად შემუშავებული და ღრმად გააზრებული ორგანიზაციული ფორმები ინგრევა სიცოცხლესთან პირველ შეხებისთანავე, ... და გამოისყიდება იგი ჩვეულებრივ მრავალრიცხოვანი, მასთან დაკავშირებული, კოოპერაციული წარმონაქმნების დაღუპვის ფასად.“ [5]. სწორედ ამიტომ, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმების განვითარების ისტორიულ გამოცდილებას და იმ თავისებურებებს, რომლებიც გააჩნიათ თანამედროვე კოოპერატივებს საქართველოში და საზღვარგარეთ.

ადამიანებმა ერთმანეთათან თანამშრომლობა და თანაქმედება ისწავლეს უხსოვარი დროიდან, როდესაც ტომებად ცხოვრობდნენ. ისინი მუდმივად თანამშრომლობდნენ ნადირობის, თევზაობის და საკვების შეგროვებისას, მუშაობდნენ ერთად თავშესაფრის ასაშენებლად და ნიადაგის დასამუშავებლად. თვით ტერმინი „კოოპერაცია“ ინგლისური წარმოშობის სიტყვაა „cooperation”, რაც აღნიშნავს თანამშრომლობას, ურთიერთშეთანხმებულ ქმედებას.

ადამიანებს შორის თანამშრომლობის მტკიცებულებები ისტორიკოსებმა აღმოაჩინეს ძველ ეგვიპტეში, ბაბილონში, საბერძნეთში და სხვა უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებში. ყველაზე მეტად ეს თანამშრომლობა წარმოიშვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ადრეული სოფლის მეურნეობა, პრინციპში, წარმოუდგენელიც კი იყო გლეხებს შორის ურთიერთდახმარების გარეშე.

2 სოციალური კაპიტალი - განისაზღვრება ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა: „ნდობა, ნორმები და ქსელები, რასაც შეუძლია გააუმჯობესოს საზოგადოების ეფექტურობა კოორდინირებული ქმედებების ხელშეწყობით.“ (Putnam, 1993, p. 167).

ისინი ეხმარებოდნენ ერთმანეთს, რათა დაეცვათ მიწები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, გაეყვანათ სარწყავი არხები, აეშენებინათ ბეღლები და სასაწყობო შენობები, ასევე იყოფდნენ საჭირო მოწყობილობებსა და ტექნიკას.

თანამშრომლობის მაგალითები გვხდება შუა საუკუნეების ევროპაშიც, როდესაც იქმნებოდა ხელოსნების ე.წ. „გილდიები“, სადაც ერთიანდებოდნენ ერთი საწარმოო მიმართულების წვრილი ხელოსნები (მჭედლები, მეწაღეები, მეთუნეები და მისთ.) და მათ მიზანს ბაზარზე სავაჭრო პოზიციების გამყარება და საწარმოო ნედლეულის ერთობლივად მომარაგება წარმოადგენდა ხელსაყრელი ფასის მიღწევის თვალსაზრისით. ამ გილდიებში მოქმედების პრინციპები ფრიად წააგავდა კოოპერატივისას, განსაკუთრებით წევრთა მიერ მართვის კონტროლის მექანიზმების, დემოკრატიულობისა და წევრთა ურთიერთდახმარების მიმართულებით. ერთობლივი შრომის, არაფორმალური კოოპერაციის ეს მაგალითები წარმოადგენს ბიზნესის კოოპერატიული ფორმის წინამორბედებს.

კოოპერატიული მოძრაობის განვითარებაში შემდგომი თვისობრივი ნაბიჯი დაკავშირებულია XVIII საუკუნის ინდუსტრიულ რევოლუციასთან. მანამდე კი ნებისმიერ დარგში წარმოება ეფუძნებოდა ე.წ. „ნატურალურ მეურნეობას“, როდესაც ადამიანები საკუთარ მოთხოვნილებებს საკვებზე, საწარმოო იარაღებსა თუ საყოფაცხოვრებო ნივთებზე თავადვე იკმაყოფილებდნენ მათი საოჯახო მეურნეობის ფარგლებში, ხოლო მცირე ნამატს/ჭარბ ნაწარმს კი ყიდნენ ან ცვლიდნენ, რათა ამ მცირედი შემოსავლით შეეძინათ ან ჭარბი პროდუქტის ნაცვლად მიეღოთ ის საყოფაცხოვრებო საქონელი თუ საკვები პროდუქტები, რისი წარმოებაც თავად არ შეეძლოთ. ინდუსტრიულმა რევოლუციამ კი, ტექნიკურ მიღწევებზე დაყრდნობით (მაგ. ორთქლის მანქანა, ელექტრო სართავი, სხვადასხვა ელექტრო-მექანიკური დანადგარები და მოწყობილობები და მისთ.) წარმოება ეტაპობრივად „ქარხნულ“ პრინციპებზე დააფუძნა და ამით შესაბამისი საბაზრო ეკონომიკა განავითარა. ამ უკანასკნელმა კი, თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ნატურალური მეურნეობები და გამოიწვია სოფლიდან ქალაქად იაფი მუშახელის შემოდინება.

მუშები, რომლებიც ადრე სოფელში თავად უზრუნველყოფდნენ საკვები პროდუქტებით საკუთარ ოჯახებს, იძულებული გახდნენ ეშრომოთ მწარმოებლებისთვის ადრეული („ველური“) კაპიტალიზმის პირობებში. ისინი მუშაობდნენ დღეში 14-16 სთ-ს და გააჩნდათ მხოლოდ 3-4 გამოსასვლელი დღე წელიწადში. როგორც წესი, მუშებს არ გააჩნდათ არც საკუთარი სახლი და არც საკუთარი ბინა ან ოთახი. მუშის ოჯახი ქირაობდა „კუთხეს“ ოთახში ან ცხოვრობდა ფაბრიკის ყაზარმებში. ხშირ შემთხვევაში მუშებს არ უხდიდნენ ხელფასს, რომლის ნაცვლად ისინი იღებდნენ მწარმოებელი კაპიტალისტის ქვითრებს - კრედიტს საქონლის შეძენაზე მხოლოდ კომპანიის მაღაზიებში. აქ კი ფასები, როგორც წესი, იყო მაღალი, ხოლო საქონლის ხარისხი დაბალი, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ მაღაზიებში. ზოგადად, მუშებს გააჩნდათ ძალიან მცირე კონტროლი ცხოვრების პირობებზე, ხელფასებზე ან საკვების ხარისხზე.

საქმის ასეთი ვითარება არ აწყობდათ არც მუშებს და არც მმართველი კლასის ყველაზე მოწინავე ნაწილს. განსაკუთრებით მომხმარებლები იყვნენ გაწბილებულნი მაღაზიების მფლობელების მიმართ, რომელთა შორის ბევრი იყო ისეთიც, რომლებიც ჰყიდნენ გაფუჭებულ პროდუქტებს, რათა გაეზარდათ საკუთარი მოგება. მუშებს ნაკლები არჩევანი ჰქონდათ და პრაქტიკულად არანაირი კონტროლი. ამასთან მათ ნახეს, რომ ქარხნის მაღაზიის მესვეურები მაღაზიას საბითუმო მოვაჭრეებისგან საქონლის საბითუმო ფასებში შესყიდვის მეშვეობით ამარაგებდნენ და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ გაერთიანდებოდნენ, ამით მათთვის საჭირო საქონელზე საკუთარ მოთხოვნას გაზრდიდნენ, რაც მათ საშუალებას მისცემდა საბითუმო მოვაჭრეებისგან

ხელსაყრელი ფასდაკლება მიეღოთ. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის შემთხვევაში კი მათთვის საჭირო საქონელი გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა და გარდა ამისა, თუ ჭარბი საქონელი დარჩებოდათ, მის რეალიზებას ისინი კოოპერატივის არაწევრებზე თვითონაც მოახდენდნენ უფრო მაღალ საცალო ფასებში, რაც მათ დამატებით მოგებასაც მოუტანდა.

ამგვარად წარმოიშვა სამომხმარებლო კოოპერატივები, რომელთაგან უნდა გამოვყოთ პირველი კლასიკური კოოპერატივი მსოფლიოში - როჩდეილის კოოპერატივი. იგი 1844 წელს დაფუძნდა ინგლისის ქალაქ როჩდეილში ადგილობრივი ქარხნის 28 მუშის მიერ. როჩდეილის კოოპერატივი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მისმა წევრებმა ისტორიაში პირველად შეიმუშავეს ფუნდამენტური სამოქმედო პრინციპები, რასაც შემდგომში დაეფუძნა და დღესაც ეფუძნება მსოფლიოს კოოპერაციული მოძრაობა.

როჩდეილის კოოპერატივის მსგავსად მომდევნო ათწლეულში შეიქმნა და განვითარდა ათეულობით მსგავსი კოოპერატივი და შემდგომ 1864 წელს ისინი გაერთიანდნენ ე.წ. „კოოპერაციულ საბითუმო საზოგადოება“-ში, რამაც ათასობით წევრ მომხმარებელს მისცა საშუალება, კიდევ უფრო შემცირებინათ ხარჯები მათთვის საჭირო პროდუქტებსა და საქონელზე და კიდევ უფრო გაეადვილებინათ მათი ხელმისაწვდომობა.

როჩდეილის ინიციატივის პარალელურად კოოპერაციული პროცესები წარიმართა სოფლად ჩრდილოეთ გერმანიაშიც. 1845-47 წ.წ. კარტოფილის მოსავლიანობის კატასტროფულმა დაცემამ გამოიწვია სოფლად საკვებ პროდუქტებზე, სათესლე მასალასა და სასუქებზე ფასების მკვეთრი ზრდა, რამაც წვრილი გლეხური მეურნეობები დააზარალა და მსხვილ მიწათმფლობელებსა და მოვაჭრეებზე კაბალურად დამოკიდებული გახადა. ამან გამოიწვია დიდი სოციალური უკმაყოფილება და ეკონომიკური დეპრესია (ეს გახლავთ ე.წ. „მშიერი ორმოციანი წლები“-ს პერიოდი და არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდში და ამ უკმაყოფილების ტალღაზე 1848 წელს გამოიცა ე.წ. „კომუნისტური მანიფესტი“...) ამავე 1848 წელს, ადგილობრივი მერის ფრიდრიხ რაიფაიზენის ინიციატივითა და ხელშეწყობით პატარა ქალაქ ანჰაუზენში ორგანიზებულ იქნა სასოფლო-საკრედიტო კავშირები, სადაც წევრ გლეხებს დეპოზიტის სახით შეჰქონდათ ფული, რომლის შემდგომი გადასესხება ხდებოდა სხვა წევრებზე, ხოლო მსესხებლების მიერ გადახდილი საპროცენტო სარგებელი ერიცხებოდა დეპოზიტარებს. ამ სისტემით შეიქმნა ორმაგი სარგებლის მიღების პერსპექტივა გლეხებისთვის; კერძოდ, საკრედიტო კოოპერატივის წევრს შეეძლო დეპოზიტის სახით ფული დაებანდებინა და ყოველი წლის ბოლოს გარკვეული საპროცენტო სარგებელი მიეღო და პარალელურად მას შეეძლო ესარგებლა შეღავათიანი კრედიტით, რათა დაეკმაყოფილებინა თავისი საწარმოო და საყოფაცხოვრებო საჭიროებანი. საკრედიტო კოოპერატივში წევრი გლეხების მიერ დაბანდებული დეპოზიტები გამოიყენებოდა საკრედიტო პორტფელისთვის წევრებზე გადასასესხებლად, ხოლო, მეორეს მხრივ, მსესხებლების მიერ გამოტანილ სესხზე გადახდილი საპროცენტო სარგებელი კი, გამოიყენებოდა წევრთა დეპოზიტებზე საპროცენტო სარგებლის დასარიცხავად. აღნიშნული საკრედიტო კოოპერატივის აღწერილი მოდელი მოგვიანებით 1850 წელს გამოყენებულ იქნა ქალაქ აილენბურგში ჰერმან შულცეს მიერ ქალაქად ხელოსნების საკრედიტო კავშირების ხელშეწყობისთვის. აღნიშნული მოდელები (ფორმები) წარმატებულად გავრცელდა მთელს ევროპაში, ამერიკის შეერთებული შტატებსა და იაპონიაში. დროთა განმავლობაში საკრედიტო კოოპერატივების შემდგომმა განვითარებამ, გამსხვილებამ და ურთიერთშერწყმამ შედეგად მოგვცა მსხვილი კოოპერაციული ბანკების განვითარების საშუალება. დღეს-დღეისობით ისეთი მსხვილი, წარმატებული და ავტორიტეტული თანამედროვე ბანკები როგორიცაა

„რაიფაიზენი“ გერმანიაში, „რაბო ბანკი“ ნიდერლანდებში, „კრედი აგრიკოლი“ საფრანგეთში, „ნორინჩუკინი“ იაპონიაში და ბანკი „საკრედიტო კავშირების ეროვნული ასოციაცია“ (მედისონი, ვისკონსინის შტატი, აშშ) სინამდვილეში წარმოადგენენ მსხვილი ეროვნული დონის საკრედიტო კოოპერატივებს, რომელთა წევრები არიან ფერმერები, რომელთაც მართავენ ასევე ფერმერები და რომელთა ძირითად პრიორიტეტს ასევე წევრი ფერმერებისა და წვრილი მეწარმეების შეღავათიან პირობებში დაკრედიტება წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების შექმნა დაიწყო სკანდინავიაში, კერძოდ დანიაში. დანია მსოფლიოში აღიარებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოო-მარკეტინგული კოოპერატივების სამშობლოდ. 1870 წლის შემდეგ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა დრამატულად გაუარესდა. ახლადშექმნილი სარკინიგზო მაგისტრალების ქსელმა გადასერა მთელი ევროპა, რომლის მეშვეობით აშშ-დან და რუსეთიდან ხორბალი შედიოდა ევროპულ ბაზრებზე. მეცხოველეობაზე აქცენტის გადატანამ დაამტკიცა თავისი უპირატესობა და დანიის სოფლის მეურნეობამ გადაწყვიტა ფოკუსირება მოეხდინა ისეთი გადამუშავებული კვების პროდუქტების წარმოებასა და გაყიდვებზე, როგორიცაა კარაქი, კვერცხი და ბეკონი. პროდუქცია ძირითადად ბრიტანეთის ბაზარზე შეჰქონდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეორგანიზაცია ორგანიზებული იყო თვით გლეხების ინიციატივით, მათი ფულით და მათი საკუთარი პირობებით.

პირველი კოოპერატივი შეიქმნა 1875 წელს ქალაქ კასლუნდეში და მის მთავარ საქმიანობას რძის გადამუშავება და კარაქის წარმოება წარმოადგენდა. წევრთა ფინანსური შენატანების გაერთიანებით ფერმერთათვის ხელმისაწვდომი გახდა თანამედროვე გადამმუშავებელი სიმძლავრეები და აგრეთვე მათ მიერ კოოპერატივის ფარგლებში შემუშავებულ იქნა ხარისხის სტანდარტებისა და კონტროლის სისტემა, რომელიც შემდგომში დანიის მთავრობის მიერ დაცულ სახელმწიფო ბრენდად იქნა აღიარებული. აღნიშნული წარმატებული მოდელი ფართოდ გავრცელდა დანიის სასოფლო რეგიონებში და მთლიანად ევროპაში. აღნიშნული მოდელის დანერგვასა და ხელშეწყობაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით დანიელ განმანათლებლებს მღვდელ ნიკოლაი გრუნდტვიგსა და პედაგოგ კრისტენ კოლდს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს სოფლის საგანმანათლებლო სახალხო სკოლების ქსელი, რისი მეშვეობითაც მოხდა აღნიშნული საწარმოო მოდელების საქვეყნო პოპულარიზაცია. სასოფლო-სამეურნეო ექსტენსიისა და განათლების სისტემა დანიაში დღემდე ამ სკოლებს ეფუძნება და ისინი სრულიად ავტონომიურნი არიან სახელმწიფოსგან, თუმცა სახელმწიფო მუდმივად ახდენს მათ სუბსიდირებას.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ისტორიული ექსკურსიდან, ჩანს, რომ კოოპერაციულ საწყისებზე თვითორგანიზების გზით კოოპერატივების წევრებმა (ფერმერებმა და წვრილმა მეწარმეებმა) შეძლეს:

- შეემცირებინათ ხარჯები;
- გაეზარდათ მათი საწარმოო და საყოფაცხოვრებო საჭიროებების შესაბამისი პროდუქტების, სერვისის, რესურსებისა და საქონლის ხელმისაწვდომობა;
- მოეხდინეთ ახალ ბაზრებზე გადართვა და დამატებითი ღირებულების შექმნა.

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნე იყო კოოპერატიული მოძრაობის დაბადების და გრიგალისებური გავრცელების საუკუნე ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში: საცალო ვაჭრობა, კრედიტი, სოფლის მეურნეობა და სხვ. XIX საუკუნის დასასრულს - 1896 წელს - კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსის II კონგრესზე, რომელიც პარიზში შედგა, მიიღეს კოოპერატივების უნივერსალური პრინციპები, რომლებსაც საფუძვლად დაედო სახელგანთქმული „როჩდეილის

პრინციპები“. ამ პრინციპების ეფექტიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ვინმეს მოგონილი კი არ იყო, არამედ თავისთავად წარმოადგენდა იმ სოციალური საჭიროებების ბუნებრივ გამოხატულებას, რასაც ემსახურობოდა ახლად შექმნილი ორგანიზაცია (კოოპერატივი).

საქართველოში კოოპერატივების შექმნა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და მას მხარს უჭერდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგი მესხი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. 1869 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსდა კოოპერატივი „მომჭირნეობა“. დიდი ილია ასე განმარტავდა კოოპერაციას - „კოოპერაცია არის გააფთრებული სვავებისგან მშრომელი კაცის დაცვის ერთადერთი საშუალება“. მას კარგად ესმოდა, რომ კოოპერაცია წარმოადგენდა თავისუფალი ბაზრის პირობებში მწირი ეკონომიკური ბაზის მქონე დაბალკონკურენტუნარიან საწარმოო ძალთა თავდაცვით რეაქციას მსხვილი და ძლევამოსილი კორპორატიული კაპიტალის საპირწონედ და კოოპერაციას სოფლად სიღარიბის დაძლევის ქმედით გზად მიიჩნევდა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კი, საქართველოში სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ჩამოყალიბდა საწარმოო კოოპერატივები. საზოგადოების ინტერესი ამ სამეურნეო გაერთიანებებისადმი იმდენად დიდი იყო, რომ 1909 წელს გამოიცა კონსტანტინე კანდელაკის წიგნი „კოოპერაცია - თეორია, ისტორია და პრაქტიკა“. 1911 წელს ქუთაისში დაიწყო ჟურნალ „კოოპერაციის“ გამოცემა, რომლის მეშვეობით მკითხველი ეცნობოდა ევროპული ქვეყნების გამოცდილებასა და მიღწევებს კოოპერატივების მუშაობის შესახებ. [8]. დაუზუსტებელი ინფორმაციით 1921 წლისათვის საქართველოში 900-მდე კოოპერატივი მოქმედებდა, რომელიც მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებდა. 1928 წლამდე ბოლშევიკური ხელისუფლება ხელს უწყობდა კოოპერაციიის ტიპის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს, კომუნებს და არტელებს ჩამოყალიბებაში, ცდილობდა მათთან თანამშრომლობას. თუმცა შემდგომ წლებში რეპრესიულმა პოლიტიკამ და ძალმომრეობითი გაერთიანებების „კოლმეურნეობები“-ს დანერგვამ კოოპერირების ამ ფორმალურ ფორმებს წარმატების და არსებობის შესაძლებლობა არ მისცა. თუმცა კარგა ხნით შემორჩა კოოპერირების ტრადიციული არაფორმალური ფორმები, როგორიცაა: „ნახირი“, „ნადი“ და „ხანულობა[3]“.

ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ევროკავშირის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეფექტიანი სისტემის არსებობა ხანგრძლივი და მშვიდობიანი განვითარების უწყვეტ პროცესს უკავშირდებოდა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ადგილი ჰქონდა სოციალური და ეკონომიკური ფორმაციის კატაკლიზმური ხასიათის ცვლილებებს. სწორედ ამიტომ, რადგან საქართველოში დღესაც აქტუალურია კოოპერატივებისა და, ზოგადად, შრომითი გაერთიანებების საკითხი, მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული მეხსიერების წინ წამოწევა, ადრე არსებული კოოპერაციის აპრობირებული ფორმების პოპულარიზაცია და მთავრობის მხრიდან სოფლად ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის[4] მომსახურების გაწევა.

3 ხანულობა - კოოპერაციის ეს ფორმა ფართოდ გამოიყენებოდა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე შიდა და ქვემო ქართლში, გარე კახეთში და მესხეთ-ჯავახეთში. ამჟამად თითქმის არ გვხვდება. თანასოფლელები თანხმდებოდნენ, რომ რიგ-რიგობით გამოეყენებინათ ერთმანეთის მოწველილი რძე და ერთ დღეს იმ დღეს მონაწველი რძე მთლიანად ერთ კომლს გამოეყენებინა და გადაემუშავებინა, მეორე დღეს მეორეს და ა.შ. ხანულობა გამოწვეული იყო საქონლის სიმცირით და იმ დროისთვის რძის ნედლად შენახვის ტექნიკური შეუძლებლობით (სამაცივრე/გამაციებელი საშუალებები).

4 სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია - იგი წარმოადგენს არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც მოიცავს ფერმერთათვის შესაბამისი კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიწოდებას, რაც გამიზნულია მათი წარმოების, მოცულობისა და კონკურენტუნარიანობის, ასევე მათი ცხოვრების საერთო დონის ამაღლებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰერმანი ი., სოფლის მეურნეობის კოოპერატივები საქართველოში: იმედები და გამოწვევები. ინტერპრესნიუსი. 2015
https://www.inovdev.ge/uploads/files/23515Dadiani-CD-Stat..pdf
2. Hyung-sik Eum H., "Cooperatives and Employment". Second Global Report. CICOPA. 2017
3. Chloupkova J., European Cooperative Movement –Background and common denominators. 2003
4. Чаянов А., Основные идеи и формы организации крестьянской кооперации. – М.: 1919.
5. Методические рекомендации по развитию кооперации (студенческие и сельскохозяйственные потребительские кооперативы) / Под общей редакцией Чекмарева О.П., Аверьяновой Е.В. – СПб.: СПбГАУ, 2013. – 248 с. https://ica.coop/
6. კაკაშვილი დ., და სხვ. „ინიციატივა ცვლილებისათვის (თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საბჭოთა ოკუპაციამდე). „ სათემო განვითარების ცენტრი. 2015.

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები („ოკრიბის“ მაგალითზე)

ტყიბული იმერეთის მხარის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქი და ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცენტრია. ტყიბულის მუნიციპალიტეტი მოიცავს ისტორიულ ,,ოკრიბას'' და ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ქალაქი გაშენებულია მდინარე ტყიბულას (მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი) ორივე ნაპირზე და შემოფარგლულია ტყით დაფარული მთაგორიანი ტერიტორიით. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით ქალაქი ქუთაისი და დასავლეთით წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. საზღვრების საერთო სიგრძე 120 კმ-ს შეადგენს, მთლიანი ფართობი კი 470 კმ^2-ს. მუნიციპალიტეტში 45 სოფელია.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია უძველესი ადამიანის ნასახლარები მდინარე წყალწითელას ხეობაში: ცუცხვათის მღვიმეში, ნაქერალას ქედის ფერდობზე, ახალსოფლის ტბის მიდამოებსა და მდინარე საბელასურის ხეობაში. ანტიკური ხანის ნასახლარების არსებობა დასტურდება სოფლებში გადაღმა წყალწითელა, სოჩხეთი, ჯვარისა, ოჯოლა, გელათი, კურსები, ოხომირა. მდინარე წყალწითელას ხეობაში არსებულ "ციხე-გორაზე" აღმოჩენილია ბრინჯაოსს იარაღის საწარმოები და ანტიკური ხანის კოლხური მონეტების ზარაფხანა.

სახელწოდება "ოკრიბა" ჩნდება 1071 წლის ნიკორწმინდის "იადიგარში" (საგალობელში), რომელიც მომდინარეობს ლაზური "კირიბ" სიტყვიდან, რაც საბატკნეს ნიშნავს. რაც შეეხება ტყიბულს (ტყვიბული) ის პირველად 1259-1293 წლით დათარიღებულ ისტორიულ წყაროში "შეწირულების დაწერილ გელათის დეკანოზ იაკობისა ხახულის ღვთისმშობლისადმი" იხსენიება.

ფეოდალურ ხანაში ოკრიბა ქუთაისის საერისთავოს ნაწილი ყოფილა და ხასიათდებოდა მჭიდრო დასახლებით. ამ ეპოქის ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლებია: გელათის სამონასტრო ანსამბლი, მოწამეთის "ნაქალაქარი", ბუეთის "მთავარანგელოზების" ეკლესია და სხვა. ოკრიბაში მიწის უდიდესი ნაწილი მეფეს და ეკლესიას-მონასტრებს ეკუთვნოდა, თუმცა ადგილ-მამულებს და ყმა-გლეხებს ფლობდნენ აგრეთვე საბერძნეთსა და სირია-პალესტინაში არსებული ქართული მონასტრებიც. ოკრიბის სოფლების უმეტესობა მხეიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდა. იმერეთის სამეფოს სამხედრო–ადმინისტრაციული დაყოფით ოკრიბა მეოთხე სადროშოში შედიოდა. სასულიერო ხელისუფალი გელათის ეპისკოპოსი იყო. ოკრიბის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრები იყო გელათის მონასტერი და მოწამეთა.

XIX საუკუნეში ოკრიბამ სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული თვალსაზრისით წინსვლა განიცადა, ამის საფუძველი გახდა 1825 წელს მის ტერიტორიაზე ქვანახშირის საბადოს აღმოჩენა, რომლის ექსპლუატაცია 1846 წლიდან დაიწყო (ტყიბულის ქვანახშირის ბალანსური მარაგი

307 მილიონ ტონას შეადგენს, საერთო გეოლოგიური მარაგი ერთ მილიარდ ტონამდე აღწევს). ამ პერიოდიდან ტყიბული სამრეწველო დაბა გახდა სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვანახშირის მოპოვება. ამდენად, ტყიბულის ეკონომიკის ძირითადი დარგი ქვანახშირის მრეწველობა იყო.ამ პერიოდში აქ ქვანახშირის მომპოვებელი 4 შახტი და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა ფუნქციონირებდა. საბადოში წელიწადში 3 მილიონ ტონა ნახშირს მოიპოვებდნენ. ქვანახშირის ძირითადი მომხმარებელი იყვნენ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და ტყვარჩელის თბოელექტრო სადგური. ნახშირი წარმოადგენდა სამრეწველო საწვავს ფოლადისა და ცემენტის წარმოებაში.

საქართველოში ნახშირის წარმოების ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა 1958 წელს - 3 001.7 ათასი ტონა, საიდანაც 48% მოდიოდა ტყიბული-შაორის მაღაროებზე. ნახშირი ითვლებოდა ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის განუყოფელ ნაწილად. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, საქართველოს ენერეგეტიკული ბალანსის სტრუქტურა თანდათან შეიცვალა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო გაზის მილსადენების ინტენსიური მშენებლობით. ბუნებრივი გაზის გაზრდილი მოთხოვნა აღმოჩნდა ენერგეტიკული ნახშირის შემცვლელი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მურა (ლიგნიტი) ნახშირის წარმოებაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შახტებში ქვანახშირის მოპოვება პრაქტიკულად შეწყდა, ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა კი დაინგრა. მომპოვებელი ტექნოლოგიების სიძველის გამო დარგი საკმაოდ კარგა ხნის განმავლობაში იყო სტაგნაციაში.

2006 წლიდან ტყიბულის ნახშირის შახტები შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ საკუთრება გახდა, რომელსაც მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალი“ ფლობს. ამავე კომპანიის მფლობელობაშია შპს “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას” 25%-იან წილს. კომპანიამ მოახდინა ტყიბულის მაღაროების ნაწილობრივ რეაბილიტაცია და განაახლა ქვანახშირის მოპოვება. ამჟამად მოქმედებს ნახშირის ორი საბადო, მინდელისა და ძიძიგურის. ორივე წარმოადგენს ტყიბული-შაორის ქვანახშირის აუზის ნაწილს. კომპანია მოიპოვებს ქვანახშირს მიწისქვეშა ოპერაციების საშუალებით. ეს ნახშირი არის ბიტუმინოზური ტიპის ნახშირი ადვილად აქროლადი ნივთირებების საშუალო შემცველობით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობის მეთანს. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის შესაბამისად ნახშირის მთლიანი მოცულობა შეადგენს 331 მილიონ მეტრიკულ ტონას.

ნახშირის სტაბილური ხარისხის მიზნით 2009 წელს საქნახშირმა ააშენა ნახშირის გადამამუშავებელი და გამამდიდრებელი ქარხანა თანამედროვე აღჭურვილობით. ასევე 2015 წელს ამოქმედდა 13 მვტ-იანი ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგური და ქვანახშირის მოპოვება 350-დან 500 ათ. ტონამდე გაზარდა. ამჟამად ნახშირის ყოველწლიური გამოშვება დაახლოებით 350,0 ათ. ტონაა. მომავალში საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი აპირებს ნახშირის მოპოვება გაზარდოს 1 მილიონ მეტრიკულ ტონამდე წელიწადში. ამჟამად კომპნიის წლიური ბრუნვა 33 მილიონი ლარია. 1 ტონა გამდიდრებული ნახშირის მოპოვება კომპანიას 83 ლარი უჯდება. გაყიდვით კი 57 დოლარად ყიდის. ტყიბულის ნახშირი გამოიყენება ცემენტის ადგილობრივ წარმოებაში, მისი ყველაზე დიდი მომხმარებელი კასპის „ჰაიდელბერგცემენტია“. ხელმძღვანელობის ვარაუდით კომპანია პირველ მოგებაზე 2021 წლიდან გავა.

ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების განახლებამ დიდი როლი შეასრულა მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებაში და მნიშვნელოვნად შეამცირა უმუშავრობის

დონე. მუნიციპალიტეტის დასაქმებული მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის 80.5% (1500 ადამიანი) ტყიბულის შახტებზე მოდის. ქვანახშირის საწარმოს შემოსავლები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსავლების 94,9 % შეადგენს. ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების აღგდენა მიიჩნევა მუნიციპალიტეტის აღორძინების დასაწყისად. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შახტების მოძველებული ტექნოლოგიით მუშაობამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მართალია საქნახშირმა უკვე შეისყიდა თანამედროვე და უსაფრთხო მოწყობილობა როგორიცაა სამთო კომბაინები, ლოკომოტივები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამჟამად ის ინტენსიურად მუშაობს ახალ სპეციალურ სამთომადნო ტექნოლოგიებზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მწარმოებლურობას მომუშავეების უსაფრთხოებას.

დღეისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მოქმედია 347 საწარმო, რომელთაგან 2 არის მსხვილი, 10 საშუალო და დანარჩენი მცირე საწარმოები. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი დარგია ქვანახშირის მომპოვებელი მრეწველობა.

მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთნება, საქმიანობენ ოჯახურ მეურნეობებში და დაბალმწარმოებლურობის გამო ორიენტირებული არიან სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და არა სარეალიზაციო პროდუქციის წარმოებაზე. თვითდასაქმებულთა მაღალი მაჩვენებელი, ფერმერული მეურნეობების განუვითარებლობა და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე, რეგიონში სიღარიბის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. მართალია მოსახლეობის მცირე ნაწილმა ფეხი აუწყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, მაგრამ მისი დიდი ნაწილი კვლავ მძიმე სოციალუ-ეკონომიკურ პირობებშია. აღნიშნულის გამო მკვეთრად შეიცვალა მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული სურათი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო ათწლეულში, მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კლების მაჩვენებელი კატასტროფულია (ყოველწლიურად 500-600 ადამიანით მცირდება). 2002 - 2014 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა (31 000 -დან 21 000 - მდე) 10 000 კაცით, ანუ 32 %-ით არის შემცირებული, რაც შობადობის კლების და მიგრაციის ზრდის შედეგია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 27 % (5800 ადამიანი) პენსიონერია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია. მოსახლეობის 41 % რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა დაიწყოს რეგიონის სწორი სტრატეგიული განვითარება, რაცუზრუნველყოფს მოსახლეობის დამაგრებასადგილზე, შეამცირებს უმუშევრობის დონეს და დაეხმარება მოსახლეობას სიღარიბის დაძლევაში. მუნიციპალიტეტში ამჟამად მისდევენ მესაქონლეობას, კარგად ვითარდება მეფუტკრეობა. ამასთა ერთად აუცილებელია მოხდეს ტრადიციული დარგების (მეხილეობა, მეჩაიეობა) აღდგენა და განვითარება. საკმაოდ დიდი პოტენციალია ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ტყიბულის რაიონის ბიუჯეტის 70%-ს ხილის შეგროვება-გადამუშავებიდან შემოსული შემოსავალი შეადგენდა. თითქმის ყველა სოფელში იყო გახსნილი ხილის დამამზადებელი პუნქტები და აქ შეგროვილი ხილი ხრესილის და ქუთაისის საკონსერვო ქარხნებში გადამუშავდებოდა. ტყიბულის მუნიციპალიტეტში ამჟამადაც არსებობს ხილის წარმოების ტრადიცია, მაგრამ ხილის გადამუშავება აღარ ხდება. ინვესტორის მოძებნისა და პროექტის განხორციელების შემთხვევაში კი, ხილის შეგროვება-გადამუშავების პროცესით, შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმება. დღეისათვის არსებული მონაცემებით, შეიძლება გარეული ვაშლის, მსხლის და ტყემლის, მოცვისა და მაყვალის, ანწლის, ხურმა-კარალიოკის, ღოღნაშო-ქლიავის, კულტურული ვაშლისა და მსხალის დამზადება.

ხილის გადამუშავებით კი შეიძლება მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა მაღალხარისხიანი წვენები, ხილფაფები და ჩირი, სადაც მთლიანად იქნება შენარჩუნებული მაღალმთიანი რეგიონის ხილისთვის დამახასიათებელი თვისებები. ხილის გადამამუშავებელი საწარმოს დაფუძნება შესაძლებელია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში სადაც ინვესტორს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს შესაბამისი საგადასახადო და სხვა შეღავათებით. ეფექტური პროგრამის შემუშავება და ხილის შეგროვება-გადამუშავების პროცესის დაწყება მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს მუნიციპალიტეტის ეკონიმიკის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის წყაროს გაჩენას.

საბჭოთა პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაკავებული იყო მეჩაიეობით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩაის პლამტაციები გაველურდა. ამჟამად ჩაის კულტურას 200 ჰა ფართობი უჭირავს. 1934 წელს დაფუძნებული ტყიბულის ჩაის ფაბრიკა ოთხმოცდაათიან წლებში გერმანულმა ფირმა მარტინ ბაუერმა შეისყიდა. მოგვიანებით იგი შპს "ტყიბულის ჩაი"-ს საკუთრებაში გადავიდა. მის საკუთრებაშია ზღვის დონიდან 1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარე 27 ჰა ჩაის პლანტაცია. კომპანია ყოველწლიურად კრეფს და ამუშავებს 200-250 ტონა 2-3 ფოთლიან, ნაზ და მაღალი კვებითი ღირებულების მქონე ეკოლოგიურად სუფთა ჩაის ნედლ ფოთოლს. კომპანიაში დასაქმებულია 140-მდე ადამიანი. საწარმო ორიენტირებულია შავი ბაიხის ჩაის წარმოებაზე. გარდა ადგილობრივი ბაზრისა პროდუქცია სარეალიზაციოდ გადის ინგლისსა და აშშ-ში. პროდუქცია იწარმოება კლასიკური ტექნოლოგიით.

ტრადიციულ დარგებთან ერთად მუნიციპალიტეტში თანდათანობით ფეხს იდგამს და ვითარდება ტურისტული ინდუსტრია.

მუნიციპალიტეტს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, რაც უკეთ უნდა იქნეს გამოყენებული და ათვისებული ბიზნესსექტორის მხრიდან, რისთვისაც საჭიროა დაინერგოს და განახორციელდეს შესაბამისი ხელის შემწყობი პროექტები და ღონისძიებები. ტყიბულის მუნიციპალიტეტი განთქმულია ისტორიული ძეგლებით. ისინი ყურადღებას იქცევენ თავიანთი მოზაიკით, მოხატულობით, ფრესკული და ლაპიდარული წარწერებით. ისტორიული ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია გელათის სამონასტრო კომპლექსი, ,,მოწამეთა'' და „ნაქალაქარი", ასევე ჯვარისის, ცუცხვათის და საწირის ციხეები. ბუნების საოცრებას წარმოადგენს ცუცხვათის კარსტული მღვიმე „მაღარა", რომელიც 13 სართულისაგან შედგება და რამდენიმე სართულშია წარმოქმნილი სტალაქტიტები და სტალაგმიტები. გარდა გელათისა და მოწამეთას სამონასტრო კომპლექსისა მასობრივი ტურიზმის ობიექტად გადაქცევის პერსპექტივა აქვს ცუცხვათის მღვიმოვანს (რომელიც 1974 წლიდან სახელმწიფო ნაკრძალადაა გამოცხადებული) და ცხრაჯვარს. ტურიზმისა და დასვენების ზონებს მიეკუთვნება ტყიბულისა და შაორის წყალსაცავების ტერიტორია.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა: გელათის მონასტრიდან, ცუცხვათის მღვიმოვანის გავლით, ახალსოფლის წყალსაცავამდე 25 კმ. სიგრძის საფეხმავლო ტურისტული ბილიკი მოეწყო, დაგეგმილია: „ცხრაჯვარზე" ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება დაა. შ.

იმედს ვიტოვებთ, რომ ტრადიციული და არატრადიციული დარგების განვითარება ხელს შეუწყობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათთვის ალტერნატიული შემოსავლის წყაროს გაჩენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1990.
2. ნიშნიანიძე ი., ნიშნიანიძე დ., ოკრიბა. თბ., რაეო. 2003.
3. შავიანიძე დ., ოკრიბა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ქუთაისი, აწსუ., 2005.
4. შავიანიძე დ., ოკრიბის მოსახლეობის მოზაიკურობა მიგრაციული პროცესების ფონზე. ქუთაისი, 1999.
5. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, მდებარეობა, განლაგება, ისტორიული ძეგლები.http://tkibuli.gov.ge/ge/mdebareoba-ganlageba-istoriuli-zeglebi
6. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/.

ციცინო დავითულიანი

გეოგრაფიის დოქტორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

იმერეთის დაცული ტერიტორიები და მათი როლი რეგიონის ტურიზმის განვითარებაში

იმერეთში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ეკოტურიზმი წარმოადგენს. იმრეთის მთავარს ტურისტულ რესურსს მისი კურორტები და გამაჯასაღებელი ზონები წარმოადგენენ. რეგიონის ლამაზი ლანდშაფტი, სამკურნალო მინერალური წყლები ბალნეოლოგიურ კურორტებს მიმზიდველ ხდის დამსვენებელთათვის. დღეს იმერეთში 53 საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა, მათ შორის აღსანიშნავია წყალტუბო, საირმე, ნუნისი, სიმონეთი, სულორი, საწირე, ჭიათურის, ხრეითი, სამტრედია, ზვარე, ამაღლება. იმერეთის მხარე მდიდარია ფლორითა და ფაუნით. მის ტერიტორიაზე ტყის მასივებს 250 000 ჰა უჭირავთ. რომელიც ლამაზადაა შერწყმული მთა-გორიან ლანდშაფტს. მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2850 მეტრია. ფოთლოვან ტყეებთან ერთად აქ შეხვდებით წიწვოვან და შერეულ ტყეებს. კავკასიისათვის დამახასიათებლ ფაუნის წარმომადგენლებს. ეკოლოგიური სისუფთავე და ველური ბუნება საინტერესოს ხდის მას მოგზაურისათვის. ასეთ ზონებს მიეკუთვნება სათაფლიის, აჯამეთის, მუხნარის, ვანის, ჭიათურიის, ბაღდათის და განსაკუთრებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელსაც 24 000 ჰა ტერიტორია უჭირავს და უმდიდრესია თავისი ფლორითა და ფაუნით. ტურიზმისა და დასვენების ზონებს მიეკუთვნებიან ტერიტორიები სადაც დღეს ტყიბულის, შაორის და რიონჰესის წყალსაცავებია.

იმერეთში 900 – ზე მეტი ისტორიული და 350 – ზე მეტი ბუნებრივი ძეგლია, რომლებიც გვიან ანტიკური ხანიდან მე–20 საუკუნის დასაწყისამდე სტუმრებს წარმოდგენას უქმნიან უმდიდრესი კულტურისა და ისტორიის შესახებ. მათი ადგილმდებარეობაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

იმერეთში განვითარებულია აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის სახეები, როგორიცაა სამთო, ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპელეო ტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე. ასევე, ეკოტურიზმი, რომელსაც იმერეთში განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. მხარეში აქტიურად ვითარდება აგროტურიზმი, ამ მიმართულებით 200 – ზე მეტი ფერმერული მეურნეობაა დაინტერესებული. ახალი პერსპექტივები გაუჩნდა სანადირო და სათევზაო ტურიზმს. მხარეში ყურადღება ეთმობა ქართული ტრადიციების, ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმს.

საქართველოში და კერძოდ, იმერეთის რეგიონში, ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისათვის გაწეულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, როგორც ორგანიზებული, ასევე, არაორგანიზებული ტურისტების რაოდენობის ზრდას. მათმა რაოდენობამ 2007 წელს 80 000, 2008 წელს - 75 000 კაცი, 2009 წელს 90 000, 2010 წელს 150 000 შეადგინა. 2013 წელს 400 000, ხოლო 2015 წელს 420 000 კაცს გადააჭარბა. აქედან 35-38 % უცხოელი ვიზიტორები იყვნენ. 2016 წელს რეგიონის ისტორიული და ბუნებრივი ძეგლები 400 000 – ზე მეტმა ვიზიტორმა მოინახულა, ხოლო 2017 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 450 000 – ს გადააჭარბა (იხ. ნახ.1)

ნახაზი 1

ვიზიტორთა დინამიკა იმერეთში 2008-2017 წლებში[1] (ათასი კაცი)



წყარო: www.imereti.gov.ge

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. მაგრამ, როგორც წესი მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აკისრიათ - მოსახლეობისათვის სუფთა წყლისა და ჰაერის მიწოდება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, განათლება, მეცნიერების განვითარება, ქვეყნის პოპულარიზება საერთაშორისო დონეზე და სხვა. უკანასკნელ წლებში საქართველოში დაცულმა ტერიტორიებმა ამ დამატებითი ფუნქციების შესრულებაც დაიწყეს და ნელ-ნელა საზოგადოებისათვის ნათელი გახდა, რომ დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ არაშემოღობილ და ყველასათვის აკრძალულ ზონებს, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნთ, რა თქმა უნდა, სტატუსისა და კატეგორიების მიხედვით.

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ მე-XI საუკუნეში თამარ მეფემ გამოსცა ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. ხუთასი წლის შემდეგ კი ვახტანგ VI-ს „კანონთა კრებული“ მოიხსენიებს ყორულის ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს. იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ. მთიან რეგიონებში არსებობდა ე. წ „ხატის ტყეები“, სადაც ტყის ჭრა და ამ ადგილებში საძოვრების გამოყენება მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპიურ ნაკრძალს წამოადგენდა. ამას გარდა არსებობდა სამეფო კარის სანადირო აღკვეთილები, საუფლისწულო ტყეები, სტრატეგიული დანიშნულების ტყის მასივები და სხვა, სადაც სამეურნეო საქმიანობა არ ხორციელდებოდა, რაც ხელს უწყობდა ამ ადგილების დაცვას და ხელშეუხებლად შენარჩუნებას. პირველი ოფიციალური ნაკრძალი საქართველოში 1912 წელს შეიქმნა კახეთში და მას ლაგოდეხის

1 2017 წლის მონაცემები საპროგნოზოა

ნაკრძალი ეწოდა. 1992 წელს მიღებული იქნა დაცული ტერიტორიების სისტემის ახალი პროგრამა, რომელიც მომზადდა ველური ბუნების დაცვის ფონდის მიერ, საქართველოს წამყვან მეცნიერებსა და სახელმწიფოს ორგანიზაციებთან ერთად.

დღეისათის საქართველოში დაცული ტერიტორიების ექვსი კატეგორიიდან ხუთი - ეროვნული პარკი, ნაკრძალი, აღკვეთილი, ბუნებრივი ძეგლი და დაცული ლანდშაფტის კატეგორიებია წარმოდგენილი და მათი საერთო ფართობი 482 842 ჰექტარს შეადგენს, რაც ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია. 1996 წლამდე საქართველოში არსებობდა მხოლოდ ნაკრძალები და სატყეო-სამონადირეო მეურნეობები, რომლებიც ასევე შეიძლება მივაკუთნოთ დაცულ ტერიტორიებს, რადგან აქ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და მათ შორის ნადირობა საკმაოდ შეზღუდულია. 1996 წელს სატყეო-სამონადირეო მეურნეობები გადაკეთდა აღკვეთილებად.

1995 წელს დაარსდა მსოფლიო ფონდის და ბუნების დაცვის ორგანიზაციის დახმარებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირველი ეროვნული პარკი კავკასიაში (ბორჯომ-ხარაგაულის). 2007 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი გაერთიანდა ევროპის დაცული ტერიტორიების ქსელში PAN Park-ებში, რაც დაცული ტერიტორიების უმაღლეს დონეზე დაცვასა და მდგრადი ტურიზმის განვითარების გარანტიაა.

ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე 41 ობიექტიდან 20 იმერეთში მდებარეობს, სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა ის, რომ 2014 წელს გამოიცა კანონი - „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე დაშვებული საქმიანობა განისაზღვრება მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით, რომელიც განსაზღვრავს მღვიმეების კომპლექსის დაცვის, მეცნიერული კვლევისა და მონიტორინგის, განათლების, რეკრეაციის, ტურიზმის, ადმინისტრაციისა და სხვა საქმიანობის ინტეგრალური განვითარების პროგრამებს და რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.“.

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 504,6 ჰა-ს შეადგენს და სათაფლიას ნაკრძალს (330 ჰა), სათაფლიას აღკვეთილს (34 ჰა), პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლს (46,6 ჰა) და კიდევ 17 ბუნების ძეგლს აერთიანებს. ადმინისტრაციული შენობა სათაფლიას აღკვეთილის ტერიტორიაზე მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ იმერთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას სათაფლიას აღკვეთილსა და პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლებზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა გააჩნია.

სათაფლიას აღკვეთილის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ვიზიტორთა ცენტრს, დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობას, საგამოფენო დარბაზს, შუშის პანორამულ გადასახედს, კაფეებს, სუვენირების მაღაზიებს, კეთილმოწყობილ მღვიმესა და მარკირებულ ბილიკებს. აქ ვიზიტორებს შეუძლიათ მოინახულონ დინოზავრის გაქვავებული ნაკვალევი, კარსტული მღვიმე, კლდის ბილიკი, კოლხური ტყე, პანორამული გადასახედები.

პრომეთეს მღვიმის ინფრასტრუქტურა მოიცავს ვიზიტორთა ცენტრსა და კეთილმოწყობილ მღვიმეს. ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ მღვიმიდან გამოვიდნენ როგორც ფეხით, ასევე ნავით.

საქართველოს დაცული ტერიტორიებიდან ვიზიტორთა მოზიდვაში საკმაოდ დიდი როლი ენიჭება ბუნების ძეგლებს, რასაც ადასტურებს საქართველოს ბუნების დაცვის საგენტოდან

აღებული სატატისტიკური მასალა.

ტურისტებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს გელათის სამონასტრო კომპლექსი, ბაგრატის ტაძარი, მოწამეთის მონასტერი, პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეები და ოკაცეს კანიონი. 2017 წელს პრომეთეს მღვიმე 163 923 – მა, ხოლო სათაფლიის ნაკრძალი 85 507 – მა მეტმა ვიზიტორმა დაათვალიერა, ოკაცეს კანიონზე ტურისტთა რაოდენობამ 73 113 – ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი საერთაშორისო ბაზარზე ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გააქტიურებამ განაპირობა (იხ. ცხრ.2). თუ შევადარებთ 2014 წელს პრომეთეს მღვიმე მოინახულა 91 711 ვიზიტორმა, სათაფლია - 62 287 ვიზიტორმა, ხოლო ოკაცეს კანიონი - მხოლოდ 3 165 ვიზიტორმა. ორივე შემთხვევაში, სამივე ბუნების ძეგლი შედის საქართველოში ყველაზე მონახულებად დაცულ ტერიტორიების ხუთეულში. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე დიდი ზრდადობა დაფიქსირდა ოკაცეს კანიონზე, სადაც ვიზიტორთა რაოდენობა 70 ათასით, ანუ 25-ჯერ გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში პრომეთეს მღვიმე ლიდერია და პირველ ადგილს ინარჩუნებს.

ნახაზი 2



წყარო: www.economy.gov.ge

იმერეთმა 2016 – 2017 წლებში 15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, ალმაატასა და ხარკოვში, კიევში, ვარშავაში, პოზნანში, ლონდონში, ბერლინსა და ტოკიოში.

იმერეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა განთავსების ობიექტების რაოდენობა, საწოლთა საერთო რაოდენობამ 4 500 – ს გადააჭარბა.

დღეისათვის, საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 600 490,04 ჰექტარს შეადგენს, რაც საქართველოს საერთო ფართობის 8,62 %-ს შეადგენს. თუ მას დავუმატებთ გეგმარებით დაცულ ტერიტორიებს: ცენტრალური კავკასიონის გეგმარებითი დაცული ტერიტორია, თრიალეთის ეროვნული პარკი და მარიამჯვრის დაცული ტერიტორიები 309398,87 ჰექტარი საერთო ფართობით, მაშინ. ჯამში ყველა კატეგორიის დაცული ტერიტორიის ფართობი ქვეყნის საერთო ფართობის 13,5%-ს შეადგენს.

დღეისათვის ბუნების ძეგლები გადაქცეულია მოგზაურობის ობიექტებად. ყოველწლიურად იზრდება მრავალრიცხოვან ვიზიტორთა ნაკადები მათ მოსანახულებლად. ბუნების ძეგლთა როლი მრავალმხრივია, ამიტომ აუცილებელია მათი დაცვა და პირველადი სახის შენარჩუნება. თუმცა ეს ბევრისათვის ბოლომდე არაა გაზრებული სამწუხაროთ. ბევრი მათგანი დაზიანებულია, განსაკუთრებით კირქვული მღვიმეები, ეს საკმაოდ თვალსაჩინოა ჩვენს რეგიონში, კარსტული ძაბრები ხშირად ადგილობრივი მოსახლეების მიერ ნაგავსაყრელადაა გადაქცეული, მოტეხილია სტალლაქტიდები და სტალაგმიტები, მათ წარმოსაქმნელად კი ათასობით წელია საჭირო.

რეგიონის ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჩართვა ტურისტულ საქმიანობაში. დაცული ტერიტორიების კატეგორიების განსაზღვრისა და შექმნის პროცეში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის ინტერესები. ეკოტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა არის თანამედროვე საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების შეუცვლელი კომპონენტი. ამ მიმართულების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სწორედ ეკოტურიზმს გააჩნია პოტენციალი უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური სტიმულით, რათა მათ დაიცვან რეგიონის უნიკალური ბუნებრივი რესურსები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავითულიანი ც. (2009), ქუთაისისსა და მისი მოსაზღვრე რაიონების კულტურული ლანდშაფტები და მათი დინამიკა (1995-2005 წწ), აწსუ გამომცემლობა, ქუთაისი გვ. 68-80

2. დავითულიანი ც., მიქაუტაძე დ. - საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება. აწსუ, ქუთაისი 2008

ინტერნეტმისამართები:

3. www.government.gov.ge - იმერეთის მხარე პასპორტი - საქართველოს მთავრობა

4. http://georgiantourizm.blogspot.com/

დარეჯან ჩხიროძე
ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მანანა ბანძელაძე
ფილოსოფიის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ეკოლოგიურ და ზნეობრივი განათლების როლი საზოგადოების მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად

ეკოლოგიური განათლება იწყება გარემოზე ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბების მომენტიდან. ეკოლოგიური ცნობიერება ითვალისწინებს გარემომცველ სამყაროსთან მიზანმიმართული ქმედებას, ჰუმანიზაციას, ჰუმანიზაციის საფუძველი კი ეთიკური და ზნეობრივი ნორმების რეალიზაცია და ცხოვრების წესად გათავისებაა.

ეკოლოგიური განათლება უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სიცოცხლეს, ხოლო ხარისხიანი გარემო ადამიანის ჯანმრთელობასა და ცივილიზაციის განვითარებას განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ყველა სოციალური საკითხი აზრს კარგავს იმ შემთხვევაში, თუ კი არ არსებობს ადამიანის არსებობისათვის და განვითერებისათვის უცილებელი გარემო პირობები.

ეკოლოგიური განათლება საერთო-საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ეკოლოგიურ განათლებაში უწყვეტი ცოდნის ფორმირების პროცესი მოიაზრება, ასევე აღზრდა და განვითარება, რომელიც თითოეული მოქალაქის ეკოლოგიური კულტურისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების და განვითარებისკენაა მიმართული.

სპეციალისტები ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას განიხილავენ, როგორც კავშირის უნივერსალურ ფორმას პიროვნულსა და საზოგადოებრივს შორის. პიროვნების ფორმირება უშუალოდ კავშირშია იმ ჩვევების გამომუშავებასთან, როგორიცა პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარი ქვეყნისა და ასევე მომავალი თაობების, შენი მხარისა და საერთოდ პლანეტის წინაშე.

ეკოლოგიური პასუხისმგებლობა მჭიდრო კავშირშია იმ პიროვნულ მახასიათებლებთან როგორიცაა თვით კონტროლი, ე.ი. კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავისა გარემოს მიმართ. ასევე უმთავრესია მორალის, ზნეობის შენარჩუნება გარემოსთან მიმართებაში,ეს პროცესი უზრუნველყოფს ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას.. ამდენად ეკოლოგიური განათლება მოითხოვს ერთიანი, უწყვეტი ეკოგანათლების სისტემის ჩამოყალიბებას, არსებული გლობალური ეკოკრიზისების პირობებში.

ადამიანების მოქმედების სპეციფიკა იწყება იქ, სადაც ადამიანი იწყებს შრომით საქმიანობას. შრომის პროცესი და ზნეობის განვითარება ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რაც უფრო იხვეწება შრომის პროცესი და ფორმები, ადამიანები მით მეტად გრძნობენ ურთიერთდახმარების აუცილებლობას. ამ ფონზე ვითარდება ზნეობრივ ფენომენიც. ამდენად, ისტორიულად ზნეობა, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროდუქტია, მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა.

ჩვენ დღევანდელი ფორმატით ვერ განვიხილავთ თითოეული საზოგადოებრივი ფორმაციის

ზნეობას. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ისტორიულად არსებობდა უკლასო და კლასობრივი საზოგადოების ზნეობა საზოგადოების ცვალებადობასთან ერთად სიკეთისა და ბოროტების, ბედნიერებისა და უბედურების, ჰუმანიზმისა და მიზანტროპიის ფონზე გზას იკაფავდა ზნეობის დადებითი ტენდენციები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაისვა საკითხი ზნეობრივი განვითარების კრიტერიუმის შესახებ.

ზნეობრივი განვითარების ზოგად კრიტერიუმს განსაზღვრავენ როგორც ჰუმანიზმს ადამიანებთან და ბუნებასთან. ჰუმანიზმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ადამიანურს“.

ჰუმანიზმის არსი სწორედ ისაა, რომ გულისხმობს ადამიანის სიყვარულს. ჰუმანიზმი აერთიანებს ყველა იმ ღირსებას, რომელიც ჭეშმარიტ ადამიანურ ურთიერთობებს მიეწერება. მასში შემოდის შრომის სიყვარული, კეთილსინდისიერება, ღირებულებებისადმი პატივისცემა და არა ნივთების მონად ქცევა. ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ „ვერცხლის მოყვარეობა არს ძირი ყოვლისა ბოროტებისა და გაქანებისა ყოველისა გონიერებისა, თუ რომლისა ძალით მოიხვეჭოს იგი, ხოლო მას შეუდგების ანგარების, მერე ამპარტავნება, პატივმოყვარეობა და ოდესმე მკვლელობაცა“.

ზნეობრივი ნორმები იცვლებიან, მაგრამ ზოგჯერ ათასწლეულებით არსებობენ და ადათ-წესების სახეს იღებენ. მათი დაძლევა ძალიან ძნელია, რადგან ღრმად აქვთ ფესვები ადამიანთა ცნობიერებაში. თუმცა პერიოდულად იძულებულნი ხდებიან გზა დაუთმონ ახალს. ტრადიციებს ქმნის ხალხი. ამიტომ მათში ჩადებული ზოგი რამ რაც დღეს მიუღებელია ისევ და ისევ მიგნების საფუძველზე უნდა შეიცვალონ. ზნეობრივი შეგნება მოგვწონს თუ არ მოგვწონს დეტერმინირებულია ცხოვრების მატერიალური პირობებით, ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს ზნეობრივს, ეკოლოგიურად მდგრადს. პროგრესულ მატერიალურ გარემოს შეესაბამება პროგრესულ-ზნეობრივი შეგნება. შეიძლება ერთი-ორი საპირისპირო შედეგების მოტანაც, მაგრამ ეს არ ცვლის კანონზომიერებას.

საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად შეიმჩნეოდა ზნეობის როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ელემენტებიც. საზოგადოების განვითარების ყოველი ეტაპი პიროვნების განვითარების ბრძოლის ისტორიაა. ადამიანს ჭირდება არა მხოლოდ ფორმალური. არამედ იურიდიული თავისუფლებაც. ამის განხორციელება მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოშია შესაძლებელი ყველა საზოგადოების განვითარება საბოლოოდ აქეთკენ მოდის, რადგანაც სამართლებრივი სახელმწიფო თავისუფლების და ზნეობრივი განვითარებას საფუძველია. თავისუფლება აუცილებლობისადმი შეგნებული დაქვემდებარებაა. მხოლოდ ის პიროვნებაა თავისუფალი. ვინც ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს და მასში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს, ხოლო ზნეობრივ ნორმების სრულყოფა მდგრადი ეკოლოგიურ ეკონომიკური განვითარების გარანტია.

მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს როგორც მსოფლიო ეკონომიკის, დემოგრაფიული პოლიტიკის შეცვლას. ასევე მრავალ ღირებულებათა გადაფასებას, ცხოვრების არსებული ზოგიერთ წესზე უარის თქმასაც კი. ეს მოთხოვნები განპიროვნებული არის ეკოლოგიური რევოლუციით, რომელის მყარად დგას მის წინარე აგრარული და სამრეწველო რევოლუციების გვერდით და განიხილება როგორც კაცობრიობის ისტორიაში საზოგადოების სოციალურ გარდამქმნელ ძირითად ფაქტორად. ეკოლოგიერი რევოლუციის დანიშნულება განსხვავებულია აგრარული და სამრეწველო რევოლუციებისაგან. განვიხილოთ თვითოეული მათგანი. აგრარურმა რევოლუციამ ბუნებრივ რესურსებთან კავშირში შესძლო მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, ხოლო ეკოლოგიურმა რევოლუციამ კი უზრუნველყო თანაფარდობა

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას, მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და ბუნებრივი რესურსების შესაძლებლობებს შორის, სოციალურ- ეკონომიკურ პროცესებთან თანხვედრაში, მიწათმოქმედებიდან ორთქლის ძრავამდე. ეკოლოგიური რევოლუციის ძირითად ძალას თანამედროვე პირობებში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და მათი დანერგვა წარმოადგენს, რომელიც წინა რევოლუციებისაგან განსხვავებით სწრაფად წარიმართა. ყველა განხილული რევოლუციების განვითარების გარანტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობა და მისი შენარჩუნება. ეკოლოგიურმა რევოლუციამ შესძლო განსაზღვრა მდგრადი განვითარების ოპტიმალური გზები, როგორც ახლანდელი ისე მომავალი თაობების სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის.

ეკონომიკის ეკოლოგიზაციის მთავარი პინციპია:

-სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობების ფორმირება რაციონალური ბუნებათსარგებლისათვის.

-ისეთი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შექმნა; რომელიც ეკონომიკას გადაიყვანს ბუნებათსარგებლობის ოპტიმიზაციაზე

-საზოგადოებრივი წარმოების შეცვლა: სადაც მინიმიზებული იქნება პრინციპი »წაპმოება წარმოებისათვის»

-უნარჩენო წარმოების შექმნა და საწარმოო ნარჩენების მინიმიზაცია.

- ,,მწვანე ეკონომიკის,, განვითარების უზრუნველყოფა

ამ პრინციპებში დასახული მიზნების მიღწევა დემოკრატიის გზაზე მდგარ სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანია . მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი განვითარების სრულყოფას. ზნეობრივი ფენომენის და ეკოლოგიური განათლების არსი კი ისაა, რომ დავიბრუნოთ პიროვნება, რომელიც ჰარმონიაში იქნება ბუნებასთან, იგი უნდა ამოქმედდეს, შექმნას ახალი აზროვნება, ზნეობრივი ფასეულობანი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. ეკოლოგიური აღზრდა და ზნეობრივი ფენომენი უნდა კვებავდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას , უნდა შეიჭრას ცხოვრების ყველა სფეროში და გზა მისცეს ახალ მდგრად განვითარებას.

მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაზღვრავს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესების განვითარებას იმ ჭრილში, როდესაც მოსახლეობის რიცხობრიობის ზრდა და მათ ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება მიმდნარეობს გონივრულად, გარემოს შესაძლებლობების გათვალისწინებით, ამავდროულად ეფუძვნება ეკოლოგიურ კულტურასა და ზნეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვართანოვი მ., სტურუა თ. ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა. თბ., 2011.
2. ბანძელაძე გ. ზნეობრივი განვითარებას თეორია და პრაქტიკა. თბ., 1982.
3. ბანძელაძე მ. ეთიკა. ქუთაისი, 2010.
4. ბანძელაძე მ., ჩხიროძე დ. ეთიკა და ეკოლოგიის ზნეობრივი საკითხები. ქუთაისი, 2014.

KUTAISI UNIVERSITY

ECONOMIC PROFILE

ქუთაისის უნივერსიტეტი

UDC 33 SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE
e – 491

№17, 2017
December

REVIEW: SCIENCE INFORMATION INSTITURE (SOCIAL SCIENCES),
RUSSIAN SCIENCES ACADEMY (www.rim.inion.ru)

A B S T R A C T S:

FINANCE AND BANKING

AGRICULTURAL SECTOR ECONOMICS

ENVIRONMENTAL ECONOMICS AND TOURISM

SCIENTIFIC EDITORIAL BOARD:

Editor: Dpctor of Economic Sciences (D.E.S.), Member of Georgian Economic Sciences Academy (GESA)
Professor **REVAZ KAKULIA**
Responsible editor:
D.E.S., Prof. **NIKO CHIKHLADZE**

MEMBER OF EDITORIAL BOARD:

Academician **ABTANDIL SILAGADZE**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:
Prof. **EVGENY BARATASHVILI**
Prof. **REVAZ BASARIA**
Prof. **GEORGE GHAVTADZE**
Prof. **GEDEVAN KHELAIA**
Prof. **REVAZ MANVELIDZE**
Prof. **ELGUJA MEKVABISHVILI**

ACADEMIC DOCTORS OF ECONOMICS, ASSOCIATE PROFESSORS:
LELA BAKHTADZE
AKAKI BAKURADZE
VAZHA GURABANIDZE
NAIRA VIRSALADZE
KHATUNA SHALAMBERIDZE
GORERDZI SHANIDZE
GURAM UPLISASHVILI

MEMBER OF THE DAYSIDE:
Prof. **SERGEI LUKIN** (Belarus)
Prof. **TIMO LINKOLA** (Finland)
Prof. **PIOTR MASHEGOV** (Russia)
Prof. **MARYA TURYANSKAIA** (Ikraine)

FIUNDER: KUTAISI UNIVERSITY
www.unik.edu.ge

13, Tsereteli, str., Kutaisi
Georgia 4601
Tel: (+995 431) 242 73, 251273
info@unik.edu.ge, chixi@mail.ru
www.economicprofile.org

Formatted and printed un typography of Akaki Tsereteli State University

Finance and Banking

Lasha Beridze - PECULIARITIES OF DETERMINING BANK COMPETITION.....3

Nazi Baratashvili - ROLE OF THE TAX SYST EM IN THE DEVELOPMENT OF THE REGIONAL ECONOMICS.....4

Mirza Khidasheli - SOME CRITICAL ASPECTS OF GEORGIAN FISCAL POLICY.....4

Agricultural Sector Economics

Elguja Deisadze - HISTORICAL EXPERIENCE OF DEVELOPMENT OF COOPERATIVE FORMS.....5

Joseph Archvadze - THE ROLE AND SIGNIFICANCE OF AGRARIAN SECTOR AND IN THE MODERN GEORGIAN ECONOMY.....6

Environmental Economics and Tourism

Naira Virsaladze - IMPORTANT ASPECTS OF ECONOMIC DEVELOPMENT OF TERRITORIAL UNITS (ORKIBA'S EXAMPLE) 6

Tsitsino Davituliani - IMERETI PROTECTED AREAS AND THEIR ROLE IN TOURISM DEVELOPING OF THE REGION.....7

Darejan Chkhirodze, Manana Bandzeladze - THE ROLE OF ECOLOGICAL AND MORAL EDUCATION TO ENSURE SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE SOCIETY.....8

LASHA BERIDZE
Doctor of Business Administration,
Invited lecturer of Batumi Shota Rustaveli State University

PECULIARITIES OF DETERMINING BANK COMPETITION

Abstract

Banking activities should, on the other hand, include economic objectives and, on the other hand, provide financial market needs, and at the same time, it must have the conditions that will make the service available to the bank. In determining the essence of competition in the banking sector, the opinion of the researchers differs, in particular the "banking competition" and "interbank competition".

According to some scholars, these approaches cannot be realized, as the banks are the main competitors at the interbank competition, while banking competition is not only dependent on banks, but also between banking and non-bank credit-financial institutions (investment funds, insurance companies, Top cooperatives, lombards and more.). Banking Competition can be described as a competition on the banking service market, which can be both banks and non-bank credit institutions, while the interbank competition is competition only in the banking sector.

The concept of banking competition is conditional, as we have noted, not only banks can be compromised. The financial sector of this market can be distinguished by a variety of competitive battles. The main level is competition between commercial banks, which are traditionally divided into universal and specialized. Previously there was a clear difference between these types of commercial banks.

The banks are competitors, when they are on the common market, offering similar banking services on equal terms. The goal of each bank is to attract more clients in order to sell as many banking services as possible to get more benefits. An important feature of the interbank competition is geographical aspect of its action. In different regions, the same bank may have different competitive conditions - in one region he may emerge as a leader and rival to another bank and in another region to rival another bank but to have a stiff competition.

NAZI BARATASHVILI
Doctoral student of Kutaisi University

ROLE OF THE TAX SYSTEM IN THE DEVELOPMENT OF THE REGIONAL ECONOMICS

Abstract

The following issues are discussed in the article: tax system and its importance in the development of the regional economic of the country, tax system and sustainable development of the regions, reforms of the self-governance and tax system reforms in Georgia, results of carried out reforms: problems and challenges. Evaluation of the influence of tax system on the development of regional economics, distribution of the incomes among the local budgets and definition of the tax income shares in the local budget receipt.

In order to reach development of the economics of the country, such liberal tax system is needed, which will provide increase of activity in all fields of economics and will increase well-being of population. Therefore, aim of any country is creation of such flexible tax system, which will be easily adapted to the changeable economic situations and will be able in the concrete moment of time to foresee economic aims and tasks of the country. One of the main places in the process of the completion of economic functions of the state takes optimal distribution of financial resources, among separate fields and spheres of economic. The main condition for reaching economic increase is fulfilment of well thought-out tax politics, as it directly makes influence on the economic activity of economic subject. Stimulation of the economic activity will be followed by the increase of tax incomes of the budget, by increase of non-state investments, which will help to solve social and economic tasks that are in the region, connected with it tax politics, which is fulfilled by the regional government, local self-governance, is one of the sustainable means of economic increase.

MIRZA KHIDASHELI
Ph.D. in Business Administration, Associate professor of Kutaisi University

SOME CRITICAL ASPECTS OF GEORGIAN FISCAL POLICY

Abstract

So called “Great recession” and its consequences are one of the hottest topics in current economic affairs. The main problem of each state is to find solution to overcoming current economic slowdowns. The exporter economics are widely using monetary stimulus [currency devaluation] for keeping growth and expanding external markets. Reserve currency issuer states are using so-called “QE” programs for decreasing unemployment and encouraging economic activity. US Federal Reserve postponed planed ending of QE3. The ECB agreed to buy 60 billion euros a month in bonds to hold down interest rates

and pump cash into banking system. The other states, which do not possess the same instruments, are trying to cope with problems by fiscal stimulus and austerity measures. Their policy is supported by the Keynesian views. In 2012 Federal Reserve Bank of San-Francisco released publication "Highway Grants: Roads to prosperity?" According to this research, in case of financing road constructions, fiscal multiplier is much higher than in the other cases. Moreover, the fiscal stimulus is four times more efficient during the recessions.

2008 was very difficult for Georgian economy - global financial crisis and war in South Ossetia occurred simultaneously. So, it was the biggest challenge for economic sustainability. During 2006-2008 average growth rate of Georgian economy was 26.04% and form 7.8 billion GEL reached 12.8 billion GEL. After the post-war year growth rates were halved and during 2010-2012 year the average rate was 13,9%, but it is rather impressive than we had in 2013-2014 years – only 1,87% average, hence there is emerging question about rapid declining of fiscal stimulus and increasing social burden on the state budget funds.

Conducted analysis shows that efficiency of fiscal stimulus was decreased during 2013-2014. It means that we could show better economic performance despite trends of "Great Recession". Federal Reserve System decision to postpone QE3 program needs more attention for planning future policy of economic stimulation. Low fiscal stimulus on national level and trends of global economic development urges to review current fiscal policy in favor of non-financial assets development.

ELGUJA DEISADZE

Kutaisi University, PhD student in economics, Assistant Professor

HISTORICAL EXPERIENCE OF DEVELOPMENT OF COOPERATIVE FORMS

Abstract

The purpose of this article is to emphasize the importance of knowing socio-economic, cultural and historical background of Co-operative movement in order to establish viable forms of cooperation in every sector of the economy.

Nowadays, support for agricultural cooperation is one of the priorities of agricultural development programs in Georgia. That's' why, it is of paramount importance to render capacity building assistance to small farmers which are lacking in knowledge of fundamental principles of cooperatives and adequate skills of leadership to plan and establish successful models of agricultural cooperatives.

This article is mainly focused on the reasons why different types of cooperatives were originated in Europe (England, Germany, Denmark, etc.) and what were the major outcomes of each cooperation forms.

JOSEPH ARCHVADZE
PHD in economics, Professor at Kutaisi University

THE ROLE AND SIGNIFICANCE OF AGRARIAN SECTOR AND IN THE MODERN GEORGIAN ECONOMY

Abstract

Agricultureis the most backward and less productive sector of Georgian economy. This sector is far behind by value added per employee(by labor productivity) to other sectors of economy by 7,9 times, to the average indicator of country's economy by 5,2 times, and to the level ofthe yearof 1988 – approximately by 2,3 times. For a long period of time the agrarian sector has been in the role of "step-child", it did not have an appropriate attention and basically had no funding. Because of these, the country's self-reliance levelby agrarian products is only 40%while foreign trade deficit of agro-food products reaches annually almost 0.5 billion US dollars.

Despite the increased support from the state in recent years, allocations in the agrarian sector are far behind to the share of this sector in the country's economy; such kind of unpleasant situation is also by foreign direct investments and by getting credit loans from credit institution.

Georgian drop back to the advanced countries per capita by subsidy is 2.5 times more than by economy.

For developing the agrarian sector it is necessary to carry out purposeful, complex measures, which implies financial aids from abroad and investments.

The activities belonging the mentioned sphere are the following: making further reduction of prices on credit resources and state subsidies, coping with the problem of partition of lands, equipment with modern technologies, machine tools, and development of material-technical base, giving state lands to Georgian citizens, also promotion and branding of unique and famous agro products.

NAIRA VIRSALADZE
Doctor of Economics, Associated Professor of Akaki Tsereteli State University

IMPORTANT ASPECTS OF ECONOMIC DEVELOPMENT OF TERRITORIAL UNITS (ORKIBA'S EXAMPLE)

Abstract

Tkibuli is one of the beautiful towns of Imereti region and is an administrative-territorial center of Tkibuli municipality. The Tkibuli municipality includes the historic Okruba. The municipality operates 347 enterprises. The core of the coal mining industry. Most of the employed are self-employed categories, and work in family farms are low oriented to meet food requirements and not to produce produce products. Underdeveloped farming and low level of modernization of agriculture, the region is an important factor in poverty growth in the region. The vast majority of the population is in heavy socio-economic conditions. The population in the municipality decreases catastrophically. In 2002 - 2014 it was reduced by 32% at the expense of birth rate and migration. The population of the municipality is demographic aging (27%

pensioners). The number of socially vulnerable people has increased (41.2% is registered in the socially vulnerable population.

Based on existing problems, proper municipality development should be started. In order to increase economic potential and reduce unemployment, it is necessary to restore and develop traditional sectors (breeding, breeding, breeding, beekeeping). It is also a great potential for tourism development in the municipality.

TSITSINO DAVITULIANI
Kutaisi University, Akaki Tsereteli State University,
Doctor of Geograpic, Associate Professor

IMERETI PROTECTED AREAS AND THEIR ROLE IN TOURISM DEVELOPING OF THE REGION

Abstract

Imereti is one of the noticeable Regions with its number and variety of natural monuments, because there are registered 20 monuments here from 42. Though we have many research materials, Geographic area of Imereti, still conceals some geomorphology and hydrological objects. Recently, Georgian geologists and paleontologists have studied some strange rocks, which were discovered in the Valley of Khanistskali River.

Scientific work innovation represents identifying areas of recreational landscape species through the studying object and on the basis of the comparative analysis -determine dynamics of their changes within the ten-year interval in 2008-2017 years.

In Imereti the major factor of resort sector and tourism development is its nature. With aesthetic factor the holidaymakers attract - the healing properties of mountain climate, the richest hydro mineral resources and historical inheritance. The region has – cultural, healing, recreational, religious and other types tourism development potential.

These are special geological phenomena, called – Separts. They are some kind of inorganic origin, sometimes considered to be turtles or other reptiles, that's why, they are called "false fossils". Separts are really attractive and it is necessary to protect them. Natural monuments are rare, so it is important to create complex programs related to their use and preservation. It should also be mentioned, that some of the natural monuments do not even have a status. They would attract visitors and increase tourism economy, if we connected them to tourist routes.

DAREJAN CHKHIRODZE
Associate Professor of Kutaisi University

MANANA BANDZELADZE
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

THE ROLE OF ECOLOGICAL AND MORAL EDUCATION TO ENSURE SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE SOCIETY

Abstract

Development is a notion that covers almost all spheres of life. The exception is moral consciousness.

Harsh events around us require theoretical reasoning, on the one hand and practical and ecology education, moral action, on the other hand. Courageous theoretical ideas need to be put into practice on time so that we can eventually get economic and spiritual recovery of our country. Moral values gradually lose their formal outfit. Dry propaganda of moral values is confronted by the real picture of the modern social life. The current process of development forwarded the phenomenon of morality. This is what determines the success of the already started political and ecology movement.